კ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 25 ივლისი, პარასკევი
№ 30 (2207)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიზგიზებს ოლიმპიური ცეცხლი

ოთხი წელი ელოდა მსოფლიო ამ დღეს — მოსკოვის ოლიმპიადის დაწყებას. ხალხთა მეგობრობის, ძმობის ეს დიდი ფორუმი, რომელიც ძველ ელინურ სამყაროში ჩაისახა, დღეს ახალი ფორმით არის ამეტყველებული.

მიუხედავად მშვიდობის მოძულეთა ცდებისა, რომ ჩაშლილიყო მოსკოვის სპორტული ასპარეზობა, „ოლიმპიადა-80“-ზე მთელი ჩვენი პლანეტის წარმომადგენლებმა, მშვიდობის ქომაგებმა მოიყარეს თავი. სიმბოლურია ისიც, რომ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობას იღებენ იმ ქვეყნის წარმომადგენლებიც, რომლებსაც თავიანთი სახელმწიფოს მესვეურებმა კატეგორიულად აუკრძალეს ამ დიდ დღესასწაულში მონაწილეობა. ჭეშმარიტი სპორტსმენები არ შეუშინდნენ მუქარას და 19 ივლისს, მოსკოვის ოლიმპიადის მთავარ არენაზე — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე — თავიანთი სახელმწიფო ალმების ნაცვლად, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების დროშებით გამოვიდნენ. კვლავ გაიმარჯვა ძველ ელინთა ტრადიციამ. ტრადიცია კი ასეთი იყო: როცა ოლიმპოს მთის ძირას აგიზგიზდებოდა ჩირაღდანი, როგორი მოსისხლე მტრებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, ყველა მახვილს ქარქაშში აგებდა...

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, ჩვენი ქვეყნის უდიდეს სტადიონზე, აგიზგიზდა ოლიმპიური ცეცხლი.

ვინც კი 19 ივლისს ამ გრანდიოზულ სანახაობას თვალს ადევნებდა, ერთხმად აღიარებს, რომ ეს იყო ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი სანახაობა, რომელშიც ჩაქსოვილი იყო მსოფლიოს ხალხთა მეგობრობის და ძმობის იდეა, ყველაზე ჰუმანური იდეა.

მოსკოვის ოლიმპიადის გახსნაზე, სილამაზესა და გრანდიოზულობაზე ალაპარაკდა მთელი მსოფლიო. ამ დიდ მოვლენას ვერ აუქცია მხარი ვერც რეაქციულმა პრესამ და აღიარა, რომ ოლიმპიადის მოწინააღმდეგეებმა სრული კრახი განიცადეს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე ოლიმპიური ჩირაღდანი შემოიტანა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა, ხოლო იგი სტადიონის თავზეააგიზგიზა საბჭოთა კალათბურთის დიდოსტატმა, მსოფლიოს მრავალგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სერგეი ბელოვმა.

სურათებზე: ლ. ი. ბრეჟნევი ოლიმპიურ ასპარეზობას გახსნილად აცხადებს; ფრიალებს ოლიმპიური დროშა.

საქტასის და საქინფორმის ტელეფოტო.



დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახვედრად

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე

22 ივლისს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, მწერალი-აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე. მან სხდომის მონაწილეებს გააცნო თუ როგორ ემზადება საქართველოს მწერალთა კავშირი სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის შესახვედრად.

ქართული მწერლობა, — თქვა გრ. აბაშიძემ, — რომელიც მუდამ მხარში ედგა მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და ხალხს, რომელიც სულ უფრო ღრმად, შთამბეჭდავად, მთელი შემოქმედებითი მგზნებარებით ეხმაურებოდა თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს, ახლაც გაცხოველებით ემზადება ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ დღეებში განსაკუთრებით იგრძნობა ქართული მწერლობისა და ცხოვრების მჭიდრო კავშირი, მწერალთა შემოქმედებითი მივლინებები რესპუბლიკის მშენებლობებზე, ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში... შეხვედრები, დისპუტები, ლიტერატურული საღამოები, მწერალთა შეფობა საწარმოებსა და მუშათა კოლექტივებზე, პუბლიცისტური პათოსის ამაღლება, ნარკვევის — ამ მებრძოლი ოპერატიული ჟანრის გაძლიერება მეტყველებს ქართული სამწერლო ცხოვრების აღმავლობაზე, ქართველი მწერლების შემოქმედებითს ენერგიასა და საქვეყნო საქმისათვის მზადყოფნაზე.

მწერალთა კავშირის ლიტერატურულმა ორგანოებმა („ლიტერატურული საქართველო“, „ცისკარი“, „მნათობი“)... შემოიღეს ახალი რუბრიკები: „ყრილობის შესახვედრად“, „რევოლუციური ადგილები“, „ისტორიული 60 წელი“, „ქართული საბჭოთა ლიტერატურის 60 წელი“, „რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არ გაგონილს“, „კომუნისტებო, წინ“, „თაობათა გადაძახილი“ და სხვა.

გამოიცემა პოეტური კრებულები, მიძღვნილი ჩვენი პარტიის ყრილობისადმი. კრებულებში შევა ქართველი პოეტების საუკეთესო ლექსები დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაზე, პარტიაზე, სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის მეგობრობაზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის პროპაგანდის ბიურო ჩვენი რესპუბლიკის ყველა რაიონსა და ქალაქში ჩაატარებს შეხვედრებს, ლიტერატურულ საღამოებს, მიძღვნილს ამ დიდმნიშვნელოვანი თარიღებისადმი...

ქართველი მწერლები მთელ თავიანთ ნიჭს, უნარსა და ენერგიას მიმართავენ იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომელთაც მათ მშობლიური კომუნისტური პარტია უსახავს და ყველაფერს გააკეთებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის ყრილობას.

●

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა გიორგი ციციშვილმა პრეზიდიუმის წევრებს გააცნო ბოგდანოვკის რაიონში გამართული ვაჰან ტერიანის დღეების შედეგები.

პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორის მორის ფოცხიშვილის მოხსენება ჟურნალის მუშაობის შესახებ. მ. ფოცხიშვილმა ისაუბრა ჟურნალის სპეციფიკურ თავისებურებებზე, იმ სიძნელეებზე, რომელთა გადალახვა უხდება რედაქციას.

კამათში მონაწილეობა მიიღეს არჩილ სულაკაურმა, ალექსი გომიაშვილმა, ოტია პაჭკორიამ, ტარიელ ჭანტურიამ, მურმან ლებანიძემ, ავთანდილ ჩხიკვიშვილმა, გიორგი ციციშვილმა.

პრეზიდიუმის სხდომაზე გადაწყდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მოწვევა მიმდინარე წლის სექტემბერში. პლენუმი დაადგენს საქართველოს მწერალთა IX ყრილობის მოწვევის თარიღს.

მწერალი მივლინებაში

მეცხვარე მთაში ავიდა

ვახტანგ გორგანელი

ნარკვევი

ყაზბეგში დიდი ზეიმი იმართება, — „ყაზბეგობა“, დიდი მწერლის დღე და იქაური მწყემსების ზეიმი. მოილხენენ ჩვენი მთის გმირები, გაიხსენებენ „ხევის ბეთჰოვენს“, სიყვარულის, მეგობრობის, ვაჟკაცობის მომღერალს.

მოხევეთა გმირობა ჩვენს დროში ახალი შუქით იმოსება. ეს მწყემსის, გამრჯე კაცის გმირობაა.

სწორედ მაშინ ვიყავი წელს ყიზლარში, ზამთრის საძოვრებზე, როცა ყაზბეგელები წამოსასვლელად ემზადებოდნენ და ამ ზეიმის წინ ის დღეები მინდა გავიხსენო.

●

კიდევ ერთხელ გადავიკითხე ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანი“. რა ვაი-ვაგლახით მიიკვლევდნენ ქართველი მწყემსები უბედურებითა და ფათერაკებით სავსე გზას ყიზლარისაკენ!

მე კი ტუ-134-ით ერთ საათში მინერალურ წყლებში ჩამოვფრინდი, მატარებელს გამოვყევი და ხვალ დილით თანამემამულეებს ხელს ჩამოვართმევ...

მატარებელი დაიძრა და მალე მეზობელი კუპედან ლაპარაკი შემომესმა:

— ამოდენა გზაზე ცხვრის გადაყვანა ავტომანქანებით მართლაც რომ უაზრობა იყო, დიდი ზარალი მოგვაყენა.

— ვიდრე გამოსჭრი, ასჯერ გაზომეო, უთქვამთ!

— ნასყიდავ, აი, რკინიგზით რომ გადავიყვანდეთ ცხვარს, მე მგონი აჯობებდა!

— მაგაზე მეც მიფიქრია, მაგრამ საამისოდ ვართ მზად?

— შე კაიკაცო, წელს ნუ იქნება, მომავალი წლიდან იყოს. რასაც ეხლა ვზარალობთ, იმის მეათედი არ დასჭირდება მაგ საქმის მოწესრიგებას. არც ბერწიანობა იქნება და აღარც სიკვდილიანობა. ერთი თვის ნაცვლად სამ-ოთხ დღეში რომ ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან ზაფხულის იალაღებზე გადაიყვანო ცხვარი, ამაზე სასარგებლო საქმე სხვა რა უნდა იყოს, ჩემო ნასყიდავ!

— კიდევ კარგად ავწონ-დავწონოთ, შემდეგ კი რაიკომს გავუზიაროთ ჩვენი აზრი, მე მგონი, ჭკვაში დაუჯდებათ, თუ არა და ისინიც კარგად იყვნენ და ჩვენც.

— აგრე იყოს, ოღონდ ნულარ დავაგვიანებთ!

ნასყიდამ და გაგამ კიდევ ბევრ რამეზე ისაუბრეს, განსაკუთრებით გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმაზე, ვინც ხევს სტოვებს და ქალაქისკენ ილტვის იოლი ცხოვრებისათვის.

შუადღით ჩავედით მეცხვარეთა ცენტრში, დაბა კოჩუბეიში, სადაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყიზლარის ზამთრის საძოვრების მართვის გაერთიანებაა.

კოჩუბეის ადრე „ჩორნი რინოკი“ ერქვა, მისი შემოგარენი ძველად კასპიის ზღვით ყოფილა დაფარული. იმ დაწყევლილ დროში შორი ქვეყნებიდან მოჰყავდათ თურმე მოტაცებული ადამიანები და აქ, შავ ბაზარზე ჰყიდდნენ, „ჩორნი რინოკიც“ მიტომ დაერქვა. დროთა მანძილზე ზღვას უკან დაუხევია და ახლა კოჩუბეი რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაშორებული ზღვას.

ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ბევრჯერ ვარ ნამყოფი, ყოველთვის ის მესმოდა, რომ უჭირდათ ცხვრის საკვები. თივა და წყალიც რატომღაც მუდამ გადაუჭრელ პრობლემად ითვლებოდა...

დღეს აქ ბევრ ადგილას ნახავთ დაუხარჯავი თივის ვეება ზვინებს — მეურნეობებმა იმდენი საკვები მოიმარაგეს, კიდევაც დარჩათ. განსაკუთრებით ამ ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ბევრი რამ ახალი გაკეთდა: აშენდა კაპიტალური სარწყავი სისტემა, რომელიც წყალს აწვდის ოთხი ათას ჰექტარამდე საძოვრებს, ამას დაუმატეთ კიდევ ორი მაგისტრალური სარწყავი არხის სიკეთე. გაყვანილია 800 კილომეტრის სიგრძის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, თითქმის მეტწილ ადგილებში მწყემსებისათვის დაიდგა ახალი ბინები, რომელთაგან 85 პროცენტი ელექტრიფიცირებულია, მუშაობს ტელეფონი, ტელევიზორი... მალე კოჩუბეიში ექსპლუატაციაში შევა შენობათა მთელი ანსამბლი „ივერია“, აქ იქნება ადმინისტრაცია, სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო, კულტურის სასახლე, საავადმყოფო, სასადილო, მაღაზია... პირობების გაუმჯობესებამ შედეგიც არ დააგვიანა: რომ არ ახსოვთ, ისეთი დიდებული მაჩვენებლებია წელს — ყოველ ას ნერბზე მიღებულია საშუალოდ 91,5 ბატკანი, ეს იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 160 ათასი სული ბატკანი შეემატა ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების დოვლათ-ბარაქას.

— ამ სიშორეზე წამოვიდეთ, მოვწყდით ცოლ-შვილს, გავუძლოთ ათას განსაცდელს და შერცხვენილები დავბრუნდეთ ოჯახში, მოხევე მწყემსი ამას არ იკადრებს! — ამბობს ყაზბეგის კოლმეურნეობის სარქალი კოლა ქავთარაშვილი.

— ეს ეხლა, კოლავ! ექვსი-შვიდი წლის წინათ რომ ვერ ვბრუნდებოდით ხელდამშვენებული? — შეესიტყვა გვერდში მყოფი მწყემსი.

— სწორი არა ხარ, ძმისშვილო, მწყემსს არც მაშინ უღალატია ცხვრისთვის, მაგრამ იმ ჩვენს ერთგულებას ვინ აფასებდა! ჩვენგან მოითხოვდნენ, ჩვენი გაჭირვების მოსმენა კი არ უნდოდათ. ბუთულავ, იმ შენი პაპის სულს გაფიცებ, ასეთი ბინები თუ გქონდა მაშინ? ეს შუქი იყო? ან ამდენი თივა გვედგა? აქედან ისე ავიკრავდით ხოლმე გუდა-ნაბადს, კოლმეურნეობის თავმჯდომარის თვალის მომკვრელი არ ვიყავით, ეხლა კი ლამის რაიკომმა და აღმასკომმა აქ დაიდონ ბინა, რა გვიჭირს, რა გვილხინს, დაწვრილებით იციან, გვეკითხებიან, გვისმენენ. ამას წინათ პირველმა მდივანმა მითხრა, ცხვარი რომ მატარებლით გადავიყვანოთ, რა აზრის იქნებიო.

— მერე რა უთხარ, კოლავ?

— ვუთხარ, კარგია-მეთქი! ისიც ვუთხარ, ეგ საქმე ადრე რომ გაკეთებულიყო, უფრო უკეთესი იქნებოდა, თუკი დაღესტანს და ჩრდილოეთ ოსეთს ცხვარი მატარებლით გადაჰყავთ, სადამდისაც შესაძლებელია, ჩვენ რატომ არ უნდა გადავიყვანოთ-მეთქი? მართალი ხარო, მითხრა. მერე ისიც თქვა, საქართველოს ხუთი რაიონიდან ჯერჯერობით ერთი-ორმა რაიონმაც რომ რკინიგზით გადაიყვანოს ცხვარი, ესეც დიდი შეღავათი იქნება დანარჩენთათვის. ტრასა აღარ გადაიტვირთება ფარებით და გზაზე დამდგარ ცხვარსაც ბალახი საკმაოდ ექნებაო. ჭკვაში დამიჯდა, ღვთის მადლმა! უწინ ასე რომ გვეზიარებინათ ჩვენთვის თავიანთი ნაფიქრალი, ის ზარალი აღარ მოგვივიდოდა, რაც მაშინ ავტომანქანებით გადაყვანის დროს.

კოლა ქავთარაშვილს ნაშუადღევს ვეწვიეთ, ბატკნებში ჩამდგარიყო ჯოხს დაყრდნობილი და კმაყოფილებით გასცქეროდა მწვანედ აბიბინებულ მინდორს. სარქალმა უხერხულად იგრძნო თავი, წვერგაუპარსავი რომ იყო, მოიბოდიშა, ველარ მოვიცალეო; წვერზე ხელი ჩამოისვა და მწყემსი ზაურ გოდერძიშვილი გაიხსენა, რომელიც თურმე კარგა ხანს წვერგაუპარსავი დადიოდა. მთავარ ვეტექიმს შალვა ჩქარეულს უთქვამს: ასე გაბანჯგვლულმა როდემდის უნდა იაროო. ზაურს მაშინვე მიუხლია: არ იცი, ჯერ ჩვენთან ცხვრის პარსვა რომ არ დაწყებულაო.

თუ ვისმე დაასახელებთ ყაზბეგის კოლმეურნეობაში მოწინავე სარქალს, პირველია კოლა ქავთარაშვილი. ორმოცდამეოთხე წელია მწყემსის კომბალი უჭირავს ხელში და მამა-პაპურ ხელობას სინდის-ნამუსიანად მისდევს. ორმოცდაოთხი წელიო — ენა ადვილად იტყვის, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ ორმოცდაოთხჯერ წელიწადის ოთხივე დრო, საზაფხულო საძოვრებიდან ყიზლარის ზამთრის საძოვრებამდე გაჭიმული ექვსას-შვიდას კილომეტრიანი გზა, სიცხე და ავდარი, ყინვა და თოვლ-ჭყაპი...

ამ ორმოცდაოთხი წლის მანძილზე კოლა ბევრ კეთილ ადამიანსაც შეხვედრია და ბევრ ყარტა-ყურტა კაცსაც ჩაუვლია მის თვალწინ ისე, რომ მისი აღარც სახელი ახსოვს და აღარც კიდევ სხვა რამ. ბევრიც ისეთი მდგარა მის გვერდით, სულ რომ ეჩიჩინებოდა: წავიდეთ, კოლავ, თბილ ადგილზე სადმე ქალაქში მოვყუჩდეთო. კოლა გაჭირვებაში მდგარა ყელამდის, მაგრამ გზიდან არ გადამცდარა. იგი ახლაც იმ რწმენით არის, პირველად მამამისმა — გიგოლამ კომბალი რომ გაუწოდა 14-15 წლის ყმაწვილს და გვერდით ამოიყენა ყიზლარისაკენ მიმავალ გზაზე.

კოლა ქავთარაშვილის ფარა 2437 სულ ცხვარს ითვლის, ფარას რვა მწყემსი პატრონობს: ბეჟან ჩქარეული, ბუთულა გომიაშვილი, გიორგი ელოშვილი, რამაზ ჩოფიკაშვილი, ელგუჯა ელოშვილი და ამათი თავკაცი — თვითონ კოლა ქავთარაშვილი. საქმე რომ ფარაში ღმერთივით აქვთ დაყენებული, ეს იქიდანაც ჩანს, რომ 100 ნერბზე 109 ბატკანი მიიღეს, ცხვრის დაცემა არ მომხდარა, თავიდანვე ყველა გზა გადაუჭრეს თურქულს, საკვები არ მოჰკლებიათ, პარსვამაც ჩინებულად ჩაიარა, მატყლი ხვავიანია. ცხვრის გაბანებაც ჩატარდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საზაფხულო საძოვრებზე წასვლის წინ იყო ყველაზე დამქანცველი: წარმოიდგინეთ, რა ძნელია ათიათასობით ცხვრის ცალ-ცალკე გაბანება, ისიც ხელით. ამ საქმესაც ეშველა. ორი კვირაა, რაც მოეწყო ცხვრის მექანიკური გასაბანი აბაზანა: გაჭრილია ცემენტით შელესილი დიდი, განიერი ორმო, რომელშიც წამლით შეზავებულ წყალს აყენებენ. ორმო გადახურულია მექანიკურად, მის ერთ ბოლოში ორი ცხვარია რკინის ბადეში საგანგებოდ დამწყვდეული, რათა მეორე ბოლოდან ცხვარი მიიტყუოს; მიადგება ასამდე ცხვარი, ჯერ შედგება ღია კარებთან, მაგრამ მოპირდაპირე მხარეზე როგორც კი დაინახავს რკინის ბადეში მოქცეულ ცხვარს, შემოღობილში შედის; აქ უცებ გამოეცლება ძირი და ცხვარი ვარდება წამლით შეზავებულ წყალში. ერთ საათში 5000 ცხვარი შეიძლება გაიბანოს.

— ხომ მზად ხართ წასასვლელად, ხელი ხომ არ გეშლებათ რამეში? — იკითხა პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველმა მდივანმა გერონტი შიხაშვილმა.

— რიგზეა ყველაფერი, ერთი სული გვაქვს, როდის დავიძრებით შინისაკენ, — სარქალს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ რატომღაც თავი შეიკავა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია რაიკომის მდივანს. მერე, გზაში მითხრა, რომ ტრასაზე მწყემსებს ყველაზე უფრო ის აინტერესებს, ფარას პირველი ვინ გაატარებსო. ვინც პირველი გაივლის მოუძოვებელ ადგილებში, იმის ცხვარს საკმაოდ ექნება ბალახი გზაში, რა თქმა უნდა, გაივლის ის, ვისაც ყველაზე დიდი წარმატებები აქვს, ვინც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული იქნება. ვნახოთ, პირველი ვინ შევა დარიალის ხეობაში, პირველი ვინ გადაეხვევა დანატრებულ ცოლ-შვილს!

ავტომანქანამ სნოს კოლმეურნეობის ბინებისაკენ აიღო გეზი.

მზე უკვე ჩავიდა. საქართველოში რომ გაიგონებთ, მზე მთებს მოეფარაო, აქ ამას ვერ იტყვით, პირიქით, გაიკვირვებთ კიდეც, ხელისგულივით გაშლილ სტეპებში სად გაქრა მზე! ამ გაკვირვებას კიდევ უფრო აძლიერებს საღამოს ჟამი, როცა მზე ჩადის და თქვენს წინ აღიმართება გავარვარებული დისკო. მაშინ მზე ისე გეჩვენება, გგონია, თავზე ხელს გადაუსვამ.

რაიკომის პირველ მდივანს სნოელების ბინაზე თათბირი აქვს. აქ იქნებიან ხუთივე კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, ალბათ სჯა-ბაასიც იმაზე წავა, თუ როგორ მიდის პარსვა, მატყლის ჩაბარება, ცხვრის გაბანვა; როგორ არიან მზად ცხვრის გადასარეკად, რა უჭირთ მწყემსებს, რაში უნდათ დახმარება...

წელს ხუთივე კოლმეურნეობას ზედმიწევნით კარგად აქვს საქმე. რაც მთავარია, საკვები იმდენი ჰქონდათ, რომ ექვსას ტონამდე თივა მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებსაც კი მიჰყიდეს. ყაზბეგელმა მწყემსებმა ცხვარიც კარგად გამოაზამთრეს და თვითონაც ყინჩად გამოიყურებიან, რადგან გაიზარდა მატერიალური დაინტერესება, შემოღებულია პრემიული სისტემა, დიდი ყურადღება დაეთმო საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, ისიც, რომ შორეულ საძოვრებზე მყოფი მწყემსები მშობლიური რესპუბლიკიდან თავს მოწყვეტილად აღარ გრძნობენ, მათი ხშირი სტუმრები არიან საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორები, მწერლები, მსახიობები, მათ შესახებ იწერება პრესაში...

გზა-გზა ცხვრის ფარები გვხვდება, სნოს კოლმეურნეობის ბინამდე კარგა მანძილია, ვსაუბრობთ ათას რამეზე. გერონტი შიხაშვილის საუბარი ისევ ცხვარ-მეცხვარეს უტრიალებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეროზიის საკითხი, რომელიც, რაც დრო გადის, მით უფრო მეტ საფრთხეს უქმნის ყაზბეგის რაიონის საზაფხულო საძოვრებს, რომელთა 99 პროცენტი მთებზეა შეფენილი, განსაკუთრებით შველას ითხოვს გორისციხის სასოფლო საბჭოს მიდამოები, სნოს ხეობა და კობის საძოვრები. სახელდახელოდ ტყეს ვერ გააშენებ და რომც გააშენო, საძოვრები შემცირდება, ცხვარს ველარ აძოვებ. თეორიულად თითქოს გადაწყვეტილია, რომ საძოვრებში შეიტანონ სასუქები მიწის გასანოყიერებლად; მაგრამ ისმება კითხვა: როგორ გინდა აიტანო სასუქები ცამდის აზიდულ მთის საძოვრებზე, მანქანით ვერ აიტან, ხელით კიდევ რამდენი უნდა აზიდო, რომ ეყოს, თვითმფრინავითაც არ ხერხდება. ამ საკითხებზე ისევ მეცნიერებს დასჭირდებათ ფიქრი. მათ სიტყვას ელის მთა!

მდივანმა ახლა საუბარი ცხვრის წველაზე გადაიტანა. გამოგიტყდებით, დღემდის არ ვიცოდი, თუ ცხვარს თითქმის აღარ წველიან ყაზბეგის რაიონის კოლმეურნეობებში, ეს რომ გავიგონე, მაშინვე გამახსენდა თბილისის ბაზარი, გუდის ყველს მამასისხლად რომ აფასებენ.

ალექსანდრე ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებაში“ ორ ადგილას ვკითხულობთ: „ჯერ კიდევ ზაფხული იყო. ცხვარი არ გაგვეშრო და დედალს ცხვარს მივსდგომოდი მოსაწველად“... „წამოვუარე ცხვარს და შევფინე მთაზე, სადაც კიდევ რამდენიმე ხანი მინდოდა მეძოვებინა, რადგანაც მოსაწველად მირეკა ჯერ ადრე იყო“... ეს სტრიქონები დაიწერა 97 წლის წინათ. 97 წლის შემდეგ კი რას ვხედავთ? — გაუმჯობესების მაგიერ მინიმუმამდე დაუყვანიათ ცხვრის წველა ყაზბეგელებს! რათა? რისთვის? რამ აიძულათ? ამ საკითხს რაიონული კომიტეტი სწავლობს და იმედია, ყაზბეგური ყველი კვლავ კუთვნილ ადგილს აღიდგენს.

...თათბირი დიდხანს გაგრძელდა. რომ დამთავრდა, მწყემსებმა სუფრა გააწყვეს. როგორც წესია, ცხვარ-მეცხვარის სადღეგრძელო დაილია პირველად. მართლაც ღირსნი არიან დალოცვისა ყაზბეგელი მწყემსები...

●

დიახ, ქარავნებმა უკვე გამოიარეს დიდი და რთული გზა, შემოვიდნენ დარიალის ხეობაში და მშობლიური მთების საძოვრებს მოეფინენ. ახლა შეიძლება ზეიმზე და ლხინზე ფიქრი, მწყემსური ცეკვა და სიმღერა, ნამდვილი ყაზბეგური.

ყიზლარი-თბილისი

კვირას, 27 ივლისს, 12 საათზე, ყაზბეგში, ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, გაიმართება სახალხო დღესასწაული „ყაზბეგობა“.

დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისათვის

ქართველი ხალხის გამოჩენილი შვილის დავით გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მომზადებისა და მოწყობისათვის შეიქმნა საკავშირო საიუბილეო კომისია, რომელსაც მეთაურობს ა. სურკოვი. მისი მოადგილეები არიან ი. სუროვცევი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია. კომისიის შემადგენლობაში არიან ცნობილი საბჭოთა ლიტერატორები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები — ჩ. აიტმატოვი, ს. ბარუზდინი, რ. გამზათოვი, ო. გონჩარი, მ. დუდინი, ე. ევტუშენკო, ვ. კოროტიჩი, დ. კუგულტინოვი, ყ. ყულიევი, ა. მეჟიროვი, ს. მიხალკოვი, ს. ნაროვჩატოვი, მ. ტანკი და სხვები. საქართველოდან კომისიაში შევიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ხარაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, მწერალი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი გ. აბაშიძე, პოეტი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ი. აბაშიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი.

პირველ სხდომაზე კომისიამ დასახა ზეიმის გეგმა. გადაწყვეტილია დ. გურამიშვილის დაბადების 275-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართოს მოსკოვში, ოქტომბრის დამლევს.

პოეზიის ინტერნაციონალური საღამოები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ თვალსაჩინო საბჭოთა პოეტები, გაიმართება თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, უკრაინაში.

გაზეთები „ლიტერატურნაია გაზეტა“, „ლიტერატურნაია როსია“, ჟურნალები „დრუჟბა ნაროდოვ“, „ლიტერატურნოე ობოზრენიე“ დაბეჭდავენ პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიებს, მისი ლექსების ახალ თარგმანებს.

უკრაინასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დაბადების 275-ე წლისთავის დღესასწაულობა ორი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დიადი მეგობრობის კიდევ ერთი ნათელი ფურცელი გახდება. (საქინფორმი).

თეატრალური სეზონის კონტურები

წერილი პირველი

გიორგი ხუხაშვილი

დასრულებულ, უკვე ისტორიად ქცეულ მოვლენებს ცივი გონებით განსჯიან ხოლმე. თეატრის ცხოვრება ის თავისებური ფენომენია, რომლის ანალიზი ვერ ურიგდება გაყინულ ლოგიკას. თეატრის ხელოვნებაზე გულგრილი წერა და ლაპარაკი შეუძლებელია. მას მუდამ თან ახლავს ემოციური სიმძაფრე და სულიერი მღელვარება. და ეს ხდება არა მარტო მაშინ, როცა თეატრი თავის სწორუპოვარ გამარჯვებებს ზეიმობს. ხდება მაშინაც, როცა ზარს რეკენ მის დამარცხებათა ერთფეროვან მოწყენილობაში.

გასულ სეზონს ერთიც თან ახლავს და მეორეც. მაგრამ ოთხმოციანი წლების მიჯნასთან, ჩვენ ბედნიერი მოწმენი ვართ თეატრის ამაღლებული სახელისა და მისი ყოვლისმომცველი ავტორიტეტის მომძლავრებისა.

ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში რუსთაველის თეატრის თორმეტი დღე ინგლისში შევიდა, როგორც მისი საბედნიერო გახმაურების უტყუარი გამოძახილი. თანამედროვე ინფორმაციათა და სულიერ ურთიერთობათა სივრცეებში თეატრის ერთმა სპექტაკლმა უჩვეულოდ გაიხმაურა და შორს გასწია თავისი ხედვის თვალსაწიერი. ქებაში თავშეკავებული ინგლისელების აღფრთოვანებამ რაუნდჰაუზის დარბაზიდან ხმის გავრცელების სიჩქარით შემოუარა ჩვენს პლანეტას. ის ვერ შეაკავა პოლიტიკოსებისა და დიპლომატების მიერ „ცივი ომის“ აღმართულმა ბარიერებმა. კიდევ ერთხელ დაგვანახვა რა განუყოფელია დღეს ჩვენს პლანეტაზე ესთეტიკური და პოლიტიკური იდეალები, როგორ შეუძლია თეატრს მტრულად განწყობილ, გამძაფრებულ ატმოსფეროში შესძინოს თავის ხალხს უთვალავი მეგობარი, უკან დაახევინოს უნდობლობასა და ეჭვებს, აზრისა და ნიჭის მაღალი ზეიმის მოზიარე გაგვხადოს. „რიჩარდ მესამის“ გამარჯვება შექსპირის სამშობლოში კიდევ ერთხელ ნათელყოფს საქართველოში ესოდენ ფეხბედნიერი შექსპირიანის მძლავრ ტრადიციათა ახლებურ გაგრძელებას. პირველ ხანებში ალბათ ბევრი რამ სადავო თეატრის ცხოვრებაში, დღეს უკვე ნორმად გვეჩვენება და მძაფრ პოლემიკურ ატმოსფეროში დაწყებული რობერტ სტურუას რეჟისორული ექსპერიმენტის ეჭვმიუტანელი სტაბილიზაციის მოწმენი ვხდებით.

ეს არც იოლი ძიებანი ყოფილა და არც იოლი გამარჯვებანი მოჰყოლია მას. დრო ბრძენიაო, ნათქვამია. დრომ განამტკიცა ერთიანი სტილით აღბეჭდილი ორიგინალური ხედვა და თამამი თეატრალური იდეები თანდათანობით უკომპრომისოდ დაამკვიდრა.

ჩვენ უკვე შევეგუეთ რობერტ სტურუას ხელოვნების მრავალ მოულოდნელობას, რეჟისურის ორიგინალურ ფორმებს და ლიტერატურისადმი ისევ და ისევ არა მონურ, ზოგჯერ ზედმეტად თავისუფალ დამოკიდებულებას. სადავო ბევრი რჩება „რიჩარდ მესამეზეც“, მაგრამ არავის დასცდენია ის, რაც „მეფე ლირის“ დადგმის შემდეგ მცირე თეატრის მაყურებელს უთქვამს: „მეფე ლირი ცუდი პიესააო“. როცა თეატრი კლასიკის უბერებლობისა და მარადიულობის შთაბეჭდილებას ქმნის, სწორ გზაზე დგას, რადგან ყოველგვარი შტამპი და რეტროგრადობა გენიალურსაც აკნინებს ხოლმე.

ჩვენ იმაზეც უსიტყვოდ შევთანხმდით ერთხელ კიდევ, რომ ხელოვანს ბოლომდე უნდა ენდო და ნაჩქარევი დასკვნების გამოტანას ერიდო. ხელმძღვანელობა და წარმართვა შეგნებული პროცესებისა ხელოვნებაში დიდ სიბრძნეს მოითხოვს. „სამანიშვილიდან“ და „ყვარყვარედან“ დაწყებულ ძიებათა პროცესი მრავალი შეცდომისა თუ ახირების, ზოგჯერ აშკარად გამოხატული სკეპტიციზმის მასაზრდოვებელი ყოფილა. ბოლოს და ბოლოს ნიჭსა და ნებისყოფას თავისი გააქვს სულიერი ენერგიისა და ნერვების ხარჯზე. და ჩვენ მოვალენი ვართ პატიოსანი პირდაპირობით შევხედოთ ჩვენსავე ადრინდელ ეჭვებს და დღეს უკვე დამკვიდრებული, ფართოდ აღიარებული ძიებანი რუსთაველის თეატრისა ნაციონალურ მონაპოვრად გამოვაცხადოთ. დღეს რუსთაველის თეატრის ცხოვრებაზე გადის თეატრალური ცხოვრების ეპიცენტრი. ზოგი ამას პირდაპირ აღიარებს. ერთი სული აქვს როდის ნახავს „კავკასიურ ცარცის წრეს“, „რიჩარდ მესამეს“ თუ „ლურჯ ცხენებს წითელ ბალახზე“, ზოგიც გადაკვრით ამბობს, მსახიობ ვასილი ლანოვოისა არ იყოს, თეატრალური ცხოვრების მძაფრი ბიძგები სამხრეთში იგრძნობაო. საქართველოში დღეს სახელგანთქმული თეატრებიც კი მოკრძალებით ჩამოდიან, რადგან დღევანდელი ქართული საბჭოთა თეატრის გამოძახილი შორს და მძლავრად ისმის, ხელოვნებაში კი პატიოსანი მეტოქეობა მარტო პატივმოყვარეობას არ ემყარება.

მით უფრო მოვალენი ვართ საყვარელსა და სახელოვან თეატრს კუთვნილი მივაგოთ და ჩვენი სურვილები არ დავუმალოთ, არც მაშინ მოვყვეთ პირფერობას, როცა სასაყვედურო გაგვიჩნდება. ასეთი თეატრი მხოლოდ სიყვარულს უსმენს.

აქედანვე უნდა ითქვას: გასტროლებმა, შორეულმა მოგზაურობებმა საზრუნავიც ბევრი გაუჩინა თეატრს. მას ელემენტარულად არ ეყო დრო რეპერტუარის განსახორციელებლად. ვერ ვიტყვი, როგორი იქნებოდა თეატრის მთლიანი სეზონის საერთო სურათი, რომ განეხორციელებინა ყველაფერი ის, რაც მას რეპერტუარში ჰქონდა: მ. ელიოზიშვილის „სარკე“, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, მ. კვესელავას „ასერგასის დღე“, ვ. კანდელაკის „გრძელი დღე“, ვ. ჩხუმიანის „მფარველი“, რ. მამულაშვილის „შემთხვევა“, კ. ბუაჩიძის „პლატონი“... დაიდგა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ჰაროლდი და მოდი“, „ტარტიუფი“ და ლიტერატურული საღამო „რექვიემი“.

თეატრის ცხოვრებაში არავის უკვირს არც რეპერტუარის ამოუწურავობა, არც დროისა და ვითარების კარნახით შეტანილი ცვლილებანი. შეიძლება გასულმა სეზონმა არც ივარგოს კატეგორიული განზოგადებისთვის, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს თერთმეტი პიესიდან ხუთი თანამედროვე ავტორის რეპერტუარში გათვალისწინებული ნაწარმოების დაუდგმელობა.

სერიოზული თეატრი სერიოზულად ირჩევს რეპერტუარს. რუსთაველის თეატრს ვერავინ დასწამებს ზერელობას და უპრინციპობას. მაგრამ მოდით გულახდილად ვთქვათ: თუ დრო ეყო „ჰაროლდი და მოდის“, ან „ტარტიუფის“ დასადგმელად, იქნებ დანარჩენ პიესებსაც მოქცეოდა შესაშური ერთგულებით?

მაგრამ, გატეხილად ვთქვათ: თეატრს ჯერ კიდევ არ აქვს ნდობა თანამედროვე დრამატურგიის მეტ-ნაკლებად საყურადღებო ნიმუშებისადმი.

არავინ მოითხოვს კრიტერიუმების შეცვლას ან შერბილებას. მაგრამ არც ის ივარგებს, შინაურ მღვდელს გაუთავებლად შენდობა არ ჰქონდეს. ამოდენა სახელის თეატრს ასგზის უფრო მართებს ეროვნულ მწერლობაში ეძებოს მეტ-ნაკლებად საგულისხმო მასალა.

წამომცდა, „მასალა ეძებოს“-მეთქი. თანამედროვე თეატრის ცხოვრება ხშირად გაფიქრებინებს, რომ პიესა დღევანდელი მწერლისა, თუ მის შუბლს კლასიკოსის ოქროს გვირგვინი არ ამშვენებს, მუდამ ეჭვქვეშ დგას, მასალაა, საშუალებაა და არა მიზანი. მრავალი ცოდვა მოსდევს ასეთ დამოკიდებულებას. თუ ასე გაგრძელდა, იქნებ საბოლოო დაკნინებაც კი მოჰყვეს თანამედროვე დრამატული მწერლობისა. ცოდვა აღიარებული სჯობს, დაფარული ჭირი კაცს კლავსო. მე მესმის მაღალი გემოვნების აუცილებლობაც და უკომპრომისობაც, ღმერთმა დამიფაროს, უნიჭობას ან საშუალო ნიჭს თავდადებით გამოვექომაგო. გრაფომანობის მოძალებას მუდამ სჭირდება შეუვალი წინააღმდეგობა. მაგრამ, რადგან ირჩევ ათიდან თუ ასიდან, ადვილად ნუღარ გაიმეტებ. ყოველი პიესის უკან, მითუმეტეს როცა რეპერტუარში შეაქვთ, ცოცხალი ავტორი დგას.

იქნებ მითხრან, მოვეშვათ სენტიმენტალობას, ნამდვილი მწერალი ყველაფერს გაუძლებსო.

არც ასეა საქმე. ჩვენ ადამიანთა ურთიერთობის საკმაოდ რთულ წრეში ვარსებობთ. ამიტომ გამორჩევა არა მარტო ესთეტიკური, ეთიკური პრობლემაც გახლავთ. თუმცა ყველაფერ ამას რომ მოვეშვათ, თანამედროვეობის სულს, დროის მწვავე პრობლემებს ისევ და ისევ თანამედროვე მწერლობით თუ გამოხატავ: თავის დროისთვის შექსპირი თანამედროვეობის მწერალი იყო. საიდანაც არ უნდა აეღო სიუჟეტები, ის მუდამ თავისი დროის პრობლემებს უტრიალებდა.

გენიალური მაგალითი დგას დრამატული მწერლობისა და თეატრის წინაშე.

მაგრამ გაჩნდა უცნაური და გაუმართლებელი ინერცია — მაინცდამაინც ჩვენსას ვუხირდებით. ასეთ ვითარებაში ჩვენმა დრამატურგიამ წელი ვერ წამოიღო. შეძახილით ხეც გახმებაო, ამბობს ხალხი.

მე არ შემიძლია დიდი გულისტკივილით არ ვილაპარაკო ამ უნდობლობაზე.

ასეა თუ ისე, თეატრის ინტერესი ამჯერადაც არაქართული დრამატურგიისკენ გადაიხარა.

იქნებ მართალი იყოს ანატოლი ეფროსი თავის წიგნში „რეპეტიცია — ჩემი სიყვარული“ რომ წერს: ახლა კლასიკის დროაო თეატრში, თანამედროვეობის პრობლემებს მაყურებელი ნაკლებ ეტანებაო! ან ის უცნაური თეორია იყოს მართალი, დრამატურგიის მწერლობიდან ჩამოშორებას რომ ცდილობს, აქაოდა დრამატურგია დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი აღარ არის, იგი მხოლოდ თეატრთან ერთად არსებობს, მხოლოდ თეატრისთვის და მასთან ერთად უნდა განიხილებოდესო!

ხედავთ, დრამატურგია მწერლობიდანაც გამოაძევეს, შენი ადგილი თეატრშიაო... თეატრი კი ნაკლებ სწყალობს იმათაც, ვისაც ერთგულებას ჰპირდება. და რჩება ეს უიღბლო „ლიტერატურული გერი“ ცასა და მიწას შუა გამოკიდებული.

სანამ ასე გაგრძელდება, ვერც თეატრი იქნება ბოლომდე თანამედროვე. წარსულის ნიმუშებით აწმყოს პრობლემებს თეატრში ვერ გადაწყვეტ. ეს მწარე სიმართლეა და ვერ მიჩქმალავ, თვალი უნდა გაუსწორო. მითუმეტეს, როდესაც კლასიკის ხარჯზე თანამედროვე დრამატურგიას ავიწროვებ. ხოლო კლასიკის არჩევანი ყოველთვის ზუსტი არ არის ხოლმე. ამაზე ქვემოთაც ვიტყვი, როცა რამდენიმე ახალ დადგმას შევეხები.

სიმართლეს თურმე ბოლომდე თქმულს აქვს ნამდვილი ძალა. ერთხანს გავიფიქრე: ეს ხომ ახალი ამბავი არ არის, ჩვენს დროში, იქნებ უწინაც დრამატურგიას ასე დაებედა-მეთქი. მაინც ვთქვი, თან ისეთი თეატრის მისამართით, უთვალავი თეატრი რომ შეჰყურებს დღეს, როგორც საქვეყნოდ აღიარებულს თავისი მაღალი პროფესიონალიზმითა და უკომპრომისო საზომებით. უთქმელობა არ იქნებოდა.

მაგრამ, მოდით, ნუ განვსჯით თეატრის გასულ სეზონს იმის მიხედვით, თუ რა უნდა დაედგა მას და რა არ დადგა. უმჯობესია მაინც იმას დავემყაროთ, რა დადგა და როგორ დადგა. მითუმეტეს, რომ მას მართლაც არ ეყო დრო. დრო კი ისეთი რამ გახლავთ, განკუთვნილ ოცდაოთხ საათს ერთი წამითაც ვერ გაზრდი. ხელოვანი დროის შვილია და დროს მძაფრად გრძნობს.

ბოლო სამ-ოთხ თვეში თეატრმა თითქოს შეუძლებელი შეძლო, თითქმის ზედიზედ გამოუშვა სპექტაკლები — „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ და „ტარტიუფი“. არც ერთ მათგანს შემთხვევითი არჩევანი არ ეთქმის, არც ნაჩქარევობის ნიშანი ატყვია. თეატრის პრაქტიკაში დამკვიდრდა ვარიანტების შექმნის, სრულყოფისკენ ჯიუტად სწრაფვის პროფესიონალური ტრადიცია. აქ შეუძლიათ დროზე შეჩერდნენ მუშაობის პროცესში, მკაცრად გაზომონ არჩეული გზა და არ დაუშვან რაიმე შეცდომის გაღრმავება, თუ საჭიროდ ცნობენ, თავიდან დაიწყონ ყველაფერი. ეს დადგენილ ვადებს არღვევს, მაგრამ მკვიდრად კრავს თეატრის ესთეტიკურ მთლიანობას. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ შედეგით განიზომება.

ამგვარ თავისუფლებას, რა თქმა უნდა, ყველა თეატრს ვერ მიანიჭებენ. რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ზოგჯერ შთაგონებულ ტემპს, აჩქარებული მუშაობის რიტმს თავისი სიკეთე მოაქვს. მით უმეტეს, როცა დრო დაჟინებით გთხოვს მოასწრო სათქმელი და თანაც დამაჯერებლად თქვა.

დროის მაქსიმალური გამოყენებითა და უჩვეულო ენთუზიაზმით შექმნა თეატრმა „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“: სპექტაკლი დიდი ლენინის ცხოვრების ერთ დღეზე, რომელმაც ეპოქა დაიტია. ისტორიული საიუბილეო თარიღი თეატრს დროში ვარირების საშუალებას არ აძლევდა. და მოხდა ისე, რომ აღარ არსებობდა დადგენილი გრაფიკი რეპეტიციებისა, არც მხოლოდ სამსახურის საათები. შთაგონება, შემართული და მიზანსწრაფული, არ იძლეოდა სულის მოთქმის საშუალებას. გატაცებით და პასუხისმგებლობის რწმენით მუშაობას მოჰყვა ღირსეული სპექტაკლი, მიძღვნილი ლენინის დღეებისადმი.

თეატრის არჩევანი შატროვის პიესაზე შეჩერდა. ეს ზუსტი არჩევანი იყო. მარტო თემა დიდი ადამიანის ცხოვრებისა არ განაპირობებდა ამ არჩევანს. თვითონ პიესის ნოვატორულ ბუნებაში იდო ის პირობითობა, რაც რობერტ სტურუას რეჟისორული სტილისთვის ორგანულია. სწორი არჩევანი სანახევროდ განსაზღვრავს გამარჯვებას. ისინი შთაგონებითა და რწმენით მუშაობდნენ. ავტორის შემოთავაზებული „სამი პლანი“ რეჟისორის ფანტაზიას უსაზღვროდ აფართოვებდა და განუმეორებელი სცენიური სამყაროს შექმნისკენ უბიძგებდა. თეატრმა ავტორთან ერთად უარი თქვა ლენინის სახის პორტრეტულ მსგავსებაზე, რათა შეექმნა რევოლუციური ეპოქის ზუსტი სახე. პიესის დასაწყისში ავტორი ამბობს: „ჩვენ ვერ ვიღებთ თავს შევქმნათ პორტრეტული მსგავსების ილუზია. მხოლოდ ნადეჟდა კონსტანტინოვნა კრუპსკაიას თვალსაზრისის მატერიალიზაციას შევეცდებით: „ლენინის სახე — ეს ლენინის აზრია“.

ინტელექტუალური დრამის გათავისებურებული პრინციპების თეატრი სწორედ „აზრის მატერიალიზაციას“ მიეძალა. რეჟისორი ავტორზე შორს წავიდა და პირობითობის სტიქიაში რევოლუციური სინამდვილის სამ პლანს სამი აქტიორის მეშვეობით კონკრეტული „სამსახიობა“ მიანიჭა. თითქოს ყველაფერი ეს ძნელად უნდა შეთავსებულიყო ისტორიული დოკუმენტების მკაცრ რეალიზმთან. სინთეზი პირობითისა და ისტორიული სიმართლისა მყარი აღმოჩნდა. დაიბადა მთლიანი სტილის ჰარმონიული და მღელვარე სპექტაკლი. ავტორის მიერ განსაზღვრულმა ჟანრმა — „პუბლიცისტური დრამის ცდა“ — ახალი სიღრმეები შეიძინა. თვითონ სამი მსახიობის მიერ (გ. ხარაბაძე, ე. მაღალაშვილი, ჟ. ლოლაშვილი) ლენინის როლის განსახიერება და მათივე თამამი გადასვლები სხვა პერსონაჟებში, ვისაც ლენინი ეკამათება, სპექტაკლის რთულ კონსტრუქციას ქმნის.

მაგრამ ეს „შეუთავსებელის შეთავსება“ ლენინის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების მთლიანობად ყალიბდება. ეს დაძაბული გარემოც, ეს პერსონაჟებიც და საგნებიც ლენინის სულში არსებობენ, მის ინტელექტში ცოცხლობენ. ამიტომ აქვს სცენაზე არსებობის უფლება ლენინის სამუშაო ოთახის გვერდით, იქვე არსებობდეს მხატვარ ლენკოვის საცხოვრებელი ოთახი, მისი საწოლი, მოლბერტი და დაუმთავრებელი ტილოდაფარებული ბიუსტი. უფრო უკანა პლანზე, სიღრმეში მსოფლიოს რუკა კედელზე და კიდევ უფრო შორს სიურეალისტური რელიგიური შინაარსის სურათი.

დრო მოქმედებისა შემოდგომის ერთი დღეა. სივრცე — სცენიურ მასშტაბებში მაქსიმალურად შეკუმშულია. მეტაფორულად საგანთა ასეთი „შეუთავსებელი“ სიახლოვე ძლიერი ინტელექტის სივრცეებში წვდომას გამოხატავს. ყველაფერში აზრია განფენილი, იატაკზე მოფენილ ქაღალდებშიც, უბრალო ხის გრძელ მაგიდასა და ერთადერთ ტელეფონშიც, ერთადერთ ჩაიდანშიც, რომლიდანაც ჩაის სვამენ, ხანდახან შაქრიანს. ამ გარემოს გამძაფრებული პულსირება სცენიურ სამყაროში არც ერთ ნივთსა და პერსონაჟს არ ტოვებს ლენინის პიროვნებასთან დაუკავშირებლად.

სამი აქტიორის სამი პლანი ამძაფრებს სცენიურ დინამიკას. ჩვენ მალე ვეგუებით რეჟისორის რთულ მიგნებებს და აღარ არსებობს პრეტენზია პორტრეტულ ან საგნობრივ მიმსგავსებაზე. თეატრი თავის პირობით სტიქიაში გვიჩვენებს ეპოქალური პიროვნებისა და თვითონ ეპოქის ამაღელვებელ სიმართლეს.

და მაინც, მე მგონია, რომ ეს პირობითობა არ განსაზღვრავს სპექტაკლის ზემოქმედების კოლოსალურ ძალას. წარმოდგენის ემოციური და ინტელექტუალური ენერგია მის დოკუმენტალობაშია. ესაა ყველაფერი ის, რაც ლენინის პიროვნებიდან აზრად იქცა და დარჩა მარადისობაში. ყოველი ფრაზა, მოწოდება, შეგონება თუ ირონიულად ნათქვამი იძენს საოცარ შინაგან მუხტს, დაელექტროებული დარბაზი მთლიანად ჩართულია მაღალი ძაბვის რევოლუციურ ატმოსფეროში. და ეს ძაბვა ბოლომდე უცვლელი რჩება. იცვლებიან მხოლოდ მოვლენები.

პირველივე სცენიდან, ექიმ ობუხთან კამათის დროს, ლენინის ღრმად ადამიანური ბუნება საოცარი სიწრფელითა და უბრალოებით უცებ გვიახლოვდება ისტორიიდან. რამდენი დამრჩენია, ექიმო, ნუ დამიმალავთ, მითხარით, ეუბნება იგი ობუხს და ამ ფრაზის მიღმა ცოცხლდება რევოლუციის შემოქმედის დრამატიული ცხოვრება. თვითონვე პასუხობს თავისავე კითხვას: ოცდახუთი წელიწადი მჭირდებაო. უთვალავი პრობლემები, გადაუწყვეტელი საკითხები, შეცდომებისა და წინააღმდეგობის დიალექტიკურ მოძრაობათა ზღვა ქაოსი, გარშემო უწესრიგოდ მიმოფანტულ დოკუმენტებისა. ამ ქაოსიდან უნდა ამოიზარდოს ადამიანთა ჰარმონიული ცხოვრება.

ყველაფერი მოითხოვს ჩაწვდომას, გადაწყვეტას, გადაჭრას. ცხოვრების უთვალავი მაგისტრალი უკავშირდება ამ ადამიანის ნერვიულ სისტემას. არავითარი ყოვლისმხილველი და ყოვლის შემძლე, ეს „ყველაზე ადამიანური ადამიანი“ მოუსვენრად ცხოვრობს, მისი ინტელექტი წამითაც არ ისვენებს, რადგან ისტორიამ ყველაზე სამართლიანი რევოლუციის ბელადობა დააკისრა მას. და როგორ სჭირდება მეოთხედი საუკუნე მსოფლიოში ყველაზე ჰარმონიული და სამართლიანი, ადამიანის საბედნიერო სამყაროს შესაქმნელად! არც ერთი სიტყვა არ იკარგება სცენიდან უქმად, ყოველ ფრაზაში ბირთვული ენერგიის სიძლიერეა და სიმართლე, მწარე სიმართლე, პირდაპირი, უკომპრომისო სიმართლე! ისტორია კიდევ ერთხელ იქცევა დღევანდელობის გაკვეთილად. რევოლუციას არ ჰყავს მხოლოდ კლასობრივი მტრები. მის თავისუფალ მოძრაობას აფერხებს ყველა, ვინც არასწორად გაიგო რევოლუცია. და ლენინს უხდება კამათი ახალგაზრდობის რევოლუციურ მაქსიმალიზმთან. რამაც წარმოშვა მისი ისტორიული სიტყვა „ახალგაზრდობის კავშირების ამოცანები“.

საოცარი გადამკვეთი გზები აქვს ისტორიას. დღეს მოსკოვში სპექტაკლს „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ თამაშობენ ლენინური კომკავშირის თეატრში. იმ კედლებში, სადაც ლენინის ცნობილი სიტყვა ახალგაზრდობაზე პირველად წარმოითქვა. კამათი, კამათი, კამათი! მძაფრი და შეურიგებელი დისკუსია რევოლუციის უწმინდესი პრინციპების დასაცავად! ეს კამათი და დისკუსიური სული განსაზღვრავს რუსთაველის თეატრის სპექტაკლში შინაგან დაძაბულობას. „პუბლიცისტური დრამის ცდა“ გამართლდა. ადამიანები უნებურად ჩაებნენ ამ კამათში და „დროთა კავშირი“ კიდევ ერთხელ გამთლიანდა. ნერვებისა და სიცოცხლის ყოველი წვეთის ფასად მოგებული ეს კამათი ავლენს ლენინის პიროვნების სიდიადეს. მისი საუბარი რაპულად განწყობილ ახალგაზრდობასთან, შეხვედრა ურალელ გლეხკაცთან, მკაცრი დავა ფანატიკოს საპოუნიკოვასთან, კამათი რუსეთის რევოლუციის გამო კლარა ცეტკინასთან, და კიდევ რამდენი ბრძოლა, შეგონება, წინააღმდეგობა, მომქანცველი მუშაობა, რომელსაც არ ეყოფა ათასი სასიცოცხლო ენერგიაც კი!

ასეთი სულიერი ცხოვრებაა სცენაზე. და ყველაფერ ამაში გამოკვეთილად ისმის ტანჯვითა და ბრძოლით მოპოვებული ერთადერთი ფრაზა: „ჩვენ გავიმარჯვებთ, კლარა, მინდა მჯეროდეს, ნახავთ, რომ გავიმარჯვებთ“. და ამ გაუტეხელ რწმენასთან ერთად მუდმივი შეხსენება იმისა, რომ რევოლუციის ძალა სიმართლეშია. თუ ჩვენ სიმართლეს არასოდეს დავუმალავთ ხალხს, ვერაფერი დაგვამარცხებსო.

ასე მღელვარედ მოდის ისტორია დღევანდელობასთან. და კიდევ რწმენა ხელოვნებისა, გამოვლენილი უცნობი მხატვრის ბედ-იღბალზე ლენინის ფიქრებში. ეს შემთხვევითი თემა არ გახლავთ პიესისა და სპექტაკლისა. ეს რწმენაა, ისტორიული ფუნქცია თეატრისაც, რომელიც ასე ღრმად უყვარდა ლენინს, რომლისაც სწამდა და რომელზეც ასე დაძაბულად ფიქრობდა.

ამიტომ, ცოტა არ იყოს, გაურკვეველი სიმბოლიკაა სპექტაკლის ფინალში მოლბერტის შემოტრიალება და დაუხატავი ტილოს გამოჩენა. იქნებ მომავლის ხელოვნებაზე მტანჯველ ფიქრს გულისხმობდეს იგი და მხატვრის სიკვდილიც რევოლუციის ტრაგიკულ ეპიზოდებზე მიგვანიშნებდეს! ყოველგვარი ფორმა მაშინ არის გამართლებული, როცა მაქსიმალურად მოაქვს ავტორისა და თეატრის სათქმელი. სცენიური სიმართლის გასაძლიერებლად ზოგჯერ პერსონაჟები რუსულადაც ლაპარაკობენ, რათა უფრო ღრმად შევიგრძნოთ დოკუმენტის სიმართლე.

ამ პიესის სამი სხვადასხვა დადგმა თითქმის ერთდროულად გაჩნდა თბილისის თეატრებში. გრიბოედოველთა სპექტაკლში „რევოლუციური ეტიუდი“ პირობითობასთან ერთად ემოციური ყოფითობითაც თავისებურად ჟღერს. ექსტრავაგანტურ პირობით ფორმას აქ ცოცხალი ცხოვრება ერწყმის და ისტორია გამადიდებელი შუშის ქვეშ მოჩანს.

ხოლო მიხეილ თუმანიშვილის თეატრ-სტუდიაში „პუბლიცისტური დრამის ცდა“ მღელვარე რეპორტაჟის ძალას იძენს.

ამ თემატურ რკალში გავიხსენებ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს „ოცდაათი აგვისტო“. ეს არის ისევ და ისევ „პუბლიცისტური დრამის ცდა“ იმავე ავტორისა, ოღონდ „ლურჯი ცხენებისგან“ განსხვავებით, მისი სტრუქტურა დოკუმენტურობის მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული და მიწიერი, ადამიანური უბრალოებით ღრმად ემოციური.

სპექტაკლში ლენინს ფიზიკურად ვერ ვხედავთ, მაგრამ რევოლუციის მაღალძაბვიან გარემოში ყველგან, ყოველ წუთს იგრძნობა მისი გენია. აქ ერთბაშად მრავალი ისტორიული პორტრეტია გაცოცხლებული და რევოლუციის დრამატული დღეების მტანჯველი ტკივილებია გამხელილი, ზეაღმტაც ბრძოლათა რომანტიკასთან ერთად გიგა ლორთქიფანიძე ქმნის ეპოქის ზუსტად შესატყვის ისტორიულ სურათს, მის ხედვაში გაერთიანებულია უბრალოება და სიდიადე. ემოცია აქტიორული ცხოვრების ბუნებრიობაში იბადება და თავშეკავებულ რიტმსა და გულწრფელ ინტონაციაში მჟღავნდება იმ წლების საოცარი ენერგია და რომანტიზმი.

ლენინის თანამებრძოლები, უბრალონი და ყელამდე მართალნი, ცხოვრობენ და არსებობენ რევოლუციურ ბრძოლათა ატმოსფეროში და კიდევ ერთხელ გვახსენებენ, ვისი მემკვიდრენი უნდა ვიყოთ. იმდენად დიდია თეატრის სურვილი — არსად დასცდეს სიყალბე, მაშინაც კი, როცა ლენინის დაჭრის შემდეგ დგება ჟამი კანონზომიერი მრისხანებისა, „წითელ ტერორზე“ გადასვლა ზედმეტად პრაქტიკული გონივრულობით ხდება. აქ კი ეპიზოდი ითხოვს უფრო მაღალ ტემპერატურას და მაჟორულ განწყობილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სპექტაკლს ემუქრება მონოტონურობის საფრთხე.

კრიტიკა

გულითადი ლირიკა

შოთა სულაბერიძე

პოეზია, რაც არ უნდა ვთქვათ, უპირველეს ყოვლისა, მაინც მკითხველის გულთან საუბარია. ჩვენც უწინარესად ამ თვალით გვსურს შევხედოთ ეთერ სახვაძის ლირიკას და აღვნიშნოთ, რომ პოეტი ქალის ბევრი ლექსი გულთან მოგვდის, სიამოვნებას გვანიჭებს, გვამახსოვრდება. და ამის თავიდათავი მიზეზია მათი უშუალო კილო და ბუნებრივი ინტონაცია. აი, მაგალითად, ე. სახვაძის უსათაურო ლექსი „გახსოვს, დობილო...“ „გახსოვს, დობილო, რომ წავედით მოდინახეზე, რათა გვეხილა, მისი ლურჯი მიმონახაზი როგორ კრთის ქარში და გამოსცემს მწუხარე კილოს? მაშინ... ჰე, მაშინ, გამოგვცადა ციხემ, ვით ღვინომ: მისმა სამზერმა უბადლომა გული მოისრა, აღძრა სალტოლველ-სანაღვლელი მიუწვდომლისა; რძესავით აჭრა დაგროვილი გულში სათქმელი, გაგვამხელინა საიდუმლოდ თავდასარქმელი. მერე თვალები ამოგვივსო დარდით ქალურით, მერე მოვიდა მსხვილი წვიმა თქარუნ-თქარუნით... ჩვენ გამოვრბოდით სველ კაბებით და ღიღილოთი, თავდაღმართებში ვეცემოდით და ვიცინოდით“!..

პოეტი ცხოვლად გვისურათებს, გვიხატავს თავის სულიერ მდგომარეობას და არაფერს იგონებს. ნამდვილობის, ბუნებრიობის განცდას გვიქმნის პირველივე სტრიქონის — „გახსოვს, დობილო, რომ წავედით მოდინახეზე“ — გულითადი, სითბოსა და ინტიმის გამომხატველი ინტონაცია, ზეპირმეტყველებისთვის, სასაუბრო ენისთვის ასე დამახასიათებელი ეს ხატოვანი, იდიომური თქმა — „გამოგვცადა ციხემ“ — და მის საფუძველზე შექმნილი ბუნებრივი შედარება — „გამოგვცადა ციხემ, ვით ღვინომ“, ამ განცდას გვიქმნის ეს „მსხვილი წვიმა“, ეს „ჩვენ გამოვრბოდით სველ კაბებით და ღიღილოთი“, ეს „თავდაღმართებში ვეცემოდით და ვიცინოდით“, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული, ნამდვილი განცდის შედეგად შეიძლებოდა გაჩენილიყვნენ ლექსში და რომლებსაც სახელდახელოდ ვერ მოიგონებ.

ეთერ სახვაძის ლექსები ფაქიზი გრძნობიერებით ახდენენ შთაბეჭდილებას. მის ლექსებში შუქივითაა გაღვრილი ქალური კდემამოსილება და სისპეტაკე, სითბო და ალერსი, ლამაზი და მაღალი სულისკვეთება. ეს სულისკვეთებაა გამოხატული ასეთი გულითადობით ზემოთ დამოწმებულ ლექსში და ამ სულისკვეთებითვე გვმსჭვალავს, მაგალითად, მისი „სადილობა ყანაში“: „ამოვდგათ ბარემ ჩაციებული ხელადა ღვინის, დავაპირქვავოთ სასმისში იგი, რაიცა ღვივის. ლობიო ქოთნის, ეკალა ლონთქი, ჭადები თეთრი, ზედ კიდევ პრასი და ჭყინტი ყველი. რა გვინდა მეტი? ამ აღმართებში პაწია სიოც ქარად დიდდება და ჩვენ ვინ გვძრახოს, თუ ჭიქა ღვინო მოგვეკიდება, თუ ეჟვნის ტოლად მოგვეჩვენება შორს დარჩენილი სოფელი, ხიდი, თვალწინ მბრწყინავი წითელი დოქი კი — მზეზეც დიდი...“

ახლა ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ დღეს, „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერაში“, მკითხველისთვის საინტერესო შეიძლება იყოს მხოლოდ ის ლექსი, რომელიც „პოეტურ იმპულსს“, „ასოციაციურ ნაკადს“ ემყარება, ხოლო სიუჟეტიანი ლექსი თითქოს მხოლოდ უბრალო ინფორმაციის წყარო და, მაშასადამე, რაღაც პრიმიტივი იყოს.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს პოეზიის ბუნებას, მან იცის, რომ პოეტური აზრი, სულერთია, ასოციაციური ლექსით იქნება იგი გამოხატული თუ სიუჟეტიანით, სულაც არ ისაზღვრება იმით, რასაც „ტექსტს“ ვეძახით და რომ სიუჟეტი თავისთავად სულაც არ მოასწავებს იმას, რომ ასეთ ლექსში იმთავითვე ყველაფერი ნათელი და გასაგები იყოს.

ეთერ სახვაძის ზემოთ დამოწმებული ლექსი, როგორც ვნახეთ, სიუჟეტიანი ლექსია, „ამბის ლექსია“, მაგრამ არა მგონია, პოეზიის ჭეშმარიტმა მკითხველმა ამ ლექსში მხოლოდ „უბრალო ინფორმაცია“ ამოიკითხოს და მეტი ვერაფერი იგრძნოს, ვერაფერი განიცადოს. ამ ლექსის სულისკვეთება წმინდა, მაღალი გრძნობის გამოხატვაა, იგი დიახაც რომ გვიტოვებს სასიამოვნო „სივრცეს და საფიქრალს“ და ოდნავადაც არ არის „უბრალო ინფორმაცია“, ისევე, როგორც არ არის „ინფორმაცია“, ვთქვათ, პოეტის აი ეს, აგრეთვე სიუჟეტიანი უსათაურო ლექსი „თონეში წითლად ყვავილობენ“: „თონეში წითლად ყვავილობენ ვარდები ალის, ათოვს და ათოვს, არა რჩება ვარდებზე კვალიც. ვეფხვივით იბრძვის ნატეხარა დიდი ზაფხულის, ის ერთადერთი ეომება გარს მომდგარ თოვლეთს; დაცხრება გვიან, დარბეული და გალახული, და მერე ქალი ცომს დააკრავს მინავლულ თონეს. მერე ის ქალი დამცხვარ პურებს თონიდან აყრის, შვენის ქართული ძრახობაში, ლაზათით, შნოთი, დავხუჭავ თვალებს, ხელს შევახებ და თბილი შოთი მგონია ლბილი, საყვარელი სხეული ბალღის“...

ამ ლექსში აღწერილ ამბავში ჩვეულებრივი მაცქერალისთვის „პოეტური“ თითქოსდა არაფერია: აქ აღწერილია მეტად პროზაული, უბრალო ყოფითი სურათი, მძიმე და დამღლელი შრომა ზამთარში, ხშირ თოვაში თონის გახურება და პურის ცხობა. მაგრამ პოეტმა ეს პროზაული სურათი ლირიკოსის თვალით დაინახა. მოულოდნელი შუქით გაანათა, სიმაღლე და სილამაზე აღმოაჩინა მასში და მისი ეს განცდა, ეს აღმოჩენა იმდენად სარწმუნო და დამაჯერებელი ჩანს, რომ ჩვენც უკვე მისი თვალებით ვუყურებთ ამ სურათს და მასთან ერთად ვღელავთ.

ეთერ სახვაძის არა ერთი და ორი ლექსი ცხადად გვაგრძნობინებს, რომ პოეტი ქალი ენდობა საკუთარ ინტუიციას, საკუთარ გულის ხმას და ცდილობს ადამიანებთან, ბუნებასთან, მოვლენებთან და საგნებთან უშუალო კონტაქტით, უშუალო განცდით შექმნას პოეტური ხატები. და, როცა პოეტი ამ გზას მიჰყვება, როცა იგი გონების ვარჯიშით, განყენებული, უსაგნო განსჯით არ ერთობა, მუდამ ავლენს თანამედროვე პოეტურ აზროვნებას, ინარჩუნებს თავისთავადობას, არის ნამდვილად ორიგინალური. ხომ ასე ნაცნობი, გაცვეთილი პოეტიზმებია, მაგალითად, „ვარდი“ და „ალი“, მაგრამ, აი, ვკითხულობთ ეთერ სახვაძის ამ სტრიქონებს „თონეში წითლად ყვავილობენ ვარდები ალის, ათოვს და ათოვს, არა რჩება ვარდებზე კვალიც“, — და სიამოვნებით ვაღიარებთ, რომ ეს „ალის ვარდები“ ტრადიციული „პოეტიზმების“, „პოეტური სიტყვების“ ეპიგონური კომბინირება კი არ არის, არამედ უშუალო განცდით დანახული, სიახლის ბეჭდით გამორჩეული კონკრეტული ხატია. და მთელი საიდუმლო აქ ის უბრალო ამბავია, რომ ბოლოს და ბოლოს, როგორც მართებულად წერენ, პოეზია ჩნდება არა იმდენად თვით სიტყვებისგან, არამედ მათი შეხებისა და შეხამებისგან.

ეთერ სახვაძის ბევრი ლექსის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილების ერთ-ერთი საიდუმლო სწორედ ამგვარი მოულოდნელი, საკუთარი გულითა და გონებით დანახული შესიტყვებები და სახეები არის. „ალუბლის ბაღი შემეგება მისხით და მისხით, ისე ელავდნენ მშვენიერნი, ისე ალობდნენ, გაკაწრულ თითში შემერია ალუბლის სისხლი, დავუდობილდი კეთილ ალუბლებს“, — ვკითხულობთ პოეტი ქალის სხვა ლექსში და არა მგონია მკითხველს გულში არ ჩარჩეს ალუბლებთან დადობილების ეს მართლაც აღმოჩენასავით მოულოდნელი და შინაარსიანი მხატვრული სახე, ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი ძველთაძველი რიტუალის ეს სრულიად ახლებური, ნამდვილად ორიგინალური განცდა.

ეთერ სახვაძის ლექსებში მოულოდნელობის ეფექტით გვაღელვებენ არა მხოლოდ ცალკეული სახეები, ხშირად მოულოდნელია მათში გრძნობის, ფიქრის, სიუჟეტის განვითარება, ისე, როგორც, მაგალითად, ამ უსათაურო ლექსში: „გახსოვს? წნელისგან ქოხებს ვრაგვავდით, გვიმრით ვხურავდით, ანდა ალერდით, მაგრამ წვიმასთან ერთად ვკარგავდით და მერე ცრემლებს ვაღვარღვარებდით. [illegible] ვპოვე უკლებლივ ბრწყინვით ხსოვნაში, სადაც ბავშვობის გზა ჩანს, იქ გაურიყავთ მაშინდელ წვიმებს და ხელუხლებლად აქამდე ჩარჩა...“

მკითხველი ალბათ შენიშნავდა, რომ თითქმის ყველა ლექსი, რომლებზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, პირველ პირშია დაწერილი. მათი ლირიკული გმირი თვითონ ავტორია. ეს საერთოდ დამახასიათებელია ეთერ სახვაძისთვის, იგი ამ პოზიციიდან ამჯობინებს სამყაროს ხედვას, ფიქრისა და აზრის გამოხატვას.

ეთერ სახვაძის მისამართით ვერ ვიტყვით, რომ მისი პოეზია, როგორც ახლა წერენ, „გაუკაცრიელებული“ იყოს. ზემოთ მოტანილი ლექსები თუმცა პირველ პირშია დაწერილი, მაგრამ პოეტის „მე“ ამ ლექსებში მარტოდმარტო არ არის: ერთგან პოეტი დობილს მიმართავს, მეორე ლექსში ბავშვობის მეგობარს ესაუბრება, სხვაგან მისთვის ახლობელ ადამიანთა შორისაა ყანაში ან თონესთან. და, ამრიგად, ამ ლექსებში მაინცდამაინც აქცენტირებული არ არის პოეტის „მე“, ავანსცენაზე მხოლოდ ის არ ჩანს, სხვებსაც ეთმობა როლი.

მაგრამ ეთერ სახვაძისთვის ეს არ არის მაგისტრალური გზა. პოეტი ქალის შემოქმედებაში საკმაოდ მძლავრობს სხვა ტენდენცია, სახელდობრ ის, როცა ლირიკული ლექსის ერთადერთ ობიექტად თვითონ პოეტის პიროვნება გამოდის, როცა ლექსში ავტორის გარდა სხვა არავინ ჩანს და არც იგულისხმება.

ეთერ სახვაძეს აქვს ერთი ლექსი „საკუთარ თავთან“, რომელშიც პოეტი გონებას ევედრება მთლად გაარიდოს „ჭრელი ქვეყანა ჭრელი“, არ გააკაროს მისი ხმები, ფერები და [illegible], აქ დატოვოს პოეტი საკუთარ თავთან და დაანახოს მას თავისი „რაობა“. ეს განწყობილება მთლად „წუთიერი“ არ ჩანს პოეტისთვის. „ჭრელი ქვეყნის“ ხმები მართლაც შედარებით ყრუდ ისმის მის ლექსებში, გაცილებით უფრო ხშირად კი პოეტი ბუნებასთან ან სულაც „საკუთარ თავთან“ არის განმარტოებული.

ბუნება მუდამ იყო და იქნება პოეტური ფიქრის ნოყიერი გარემო და ეთერ სახვაძესაც არა ერთი და ორი შთაგონებული წუთი აქვს განცდილი მის წიაღში. ნამდვილად კარგია პოეტის ზოგიერთი ჩანახატი და სურათი პლასტიკური სიცხადით, სურათოვნებით და, რაც მთავარია, განწყობილების სიმართლით, როგორც, მაგალითად, ლექსი „დამშვიდობება“: „მზემ ჩამოშალა თოვლის ზვინები, ხეთა მხრებიდან, ნაფლეთ-ნაფლეთად, და სიმძიმისგან თავდახსნილებმა რტოებმა სწრაფად იწყეს ასხლეტა. ატოკდებოდნენ, თოვლს გაანძრევდნენ და მშვიდდებოდნენ ბოლოს თანდათან, თითქოს ეს იყო ხელის დაქნევა, დამშვიდობება ფერმკრთალ ზამთართან“.

ამგვარი ადამიანური ემოციებით დატვირთული, ფსიქოლოგიურად მართალი სურათების გვერდით, ეთერ სახვაძეს აქვს აგრეთვე ლექსები, რომლებიც პეიზაჟებისა და საკუთარი სულიერი მოძრაობის სინთეზია. აი, მაგალითად, ლექსი „წინათგრძნობა“: „ახლოვდებიან ქარები და ტყეები შფოთდებიან, თანდათან ხდებიან, უნაზესად წრწიტდებიან, მოკვიანებით აისხამენ ღრუბლების ფოთლებს, რომლებიც ისევ ქარიშხლებით ჩამოწყდებიან. შემომწყდება გული, იმგვარად მტეხს ტიალი გული, თითქოს ტყეებში გადიოდნენ ჩემი ძარღვები და რტოებივით მოელოდნენ სიშიშვლეს სრული, თოვლში ჩაჩუმქრა მარტოობა და სინაღვლენი...“

თუ ამ ლექსში მაინც პოეტის პირადი განცდაა გამჟღავნებული, სამაგიეროდ ლექსში „ცხოვ[illegible] დაიწყო ცხოვრება დღემან“ იგი გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და მაღალ სულიერ მოძრაობას ავლენს. ამ ლექსის ლირიკული გმირი, უბრალოდ ბუნებით კი არ ტკბება, არამედ მშობლიური ბუნებას, მშობლიურ მიდამოს შეჰყურებს და ეს განცდა უფრო მაღალი სულიერი მოძრაობის, უფრო ვრცელი თვალსაზრისის გამოხატვას შთააგონებს მას.

მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ საკუთარი „მეს“ თვითგამოხატვით გართული და „ჭრელი ქვეყნის“ ხმებსა და ფერებს გარიდებული პოეტი ნაძალადევ განცდას, მოგონილ მღელვარებას გვიზიარებს და შედარებით უმნიშვნელო, წვრილმანებზე გადაგებული გამოიყურება. „მე ახლა ისე გამეხარდა ერთი ამბავი, თუმცა ცხადია და ნათელი, როგორც ანბანი, რომ იგი უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხომ ვხვდებით, რომ მოსახდენი, მოელი და, არასგზით ხდება. შინ ვიყო ახლა, მე მოვხდიდი წითელ საფერავს, ეს იქნებოდა სიხარულის ჩემის საფერი“, — ამბობს პოეტი ერთ უსათაურო ლექსში, მაგრამ ამ ლექსის წაკითხვა ჩვენ, პოეტისგან განსხვავებით, არც სიხარულს გვგვრის და არც წითელი საფერავის დალევის გუნებაზე გვაყენებს, რადგან ეს ინკოგნიტო „ერთი ამბავი“ ჩვენთვის მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ინფორმაციაა და ულონოა გადმოგვცეს პოეტის სულიერი მდგომარეობა, განგვაცდევინოს მისი სიხარული.

ვიწრო პირადული ტკივილების წრეში გადამეტებული ყოფნა პოეტს შინაგან სიფხიზლესაც უდუნებს და აიძულებს უკონტროლოდ გადაამღეროს ის, რაც უკვე უთქვამთ სხვებს. „გათენდა. მნათი აუყვა ბაგებს, წყნეთს, ამაღლებას, უხამლ-უქუდოდ... როგორც ქუთუთო ხვდება ქუთუთოს და ბაგე ბაგეს — ეს დღეც ასევე ჩვეულებრივ შემიღამდება“, — წერს იგი ერთ უსათაურო ლექსში, მაგრამ მის ამ განცდას არ აზის პირადი დამღა, პოეტი აქ ორდინარული და ტრადიციის ინერციას მინებებულია.

პირადი ტკივილების მეტისმეტი აქცენტირება პოეტ ქალს საკუთარი თავის გადამღერების საფრთხესაც უქმნის. მისი ზოგიერთი ლექსი, მიხეილ სვეტლოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე კი არ ჰგავს ერთმანეთს, როგორც ძმა ძმას, არამედ როგორც პორტრეტი ორიგინალს.

დასასრულ, ერთი მოსაზრებაც გვსურს გავუზიაროთ პოეტს. იმის გამო, რომ ლექსის დიდი უმრავლესობის ლირიკული გმირი თვითონ არის, ბუნებრივია, მის კრებულებში მეტისმეტად ხშირად ისმის „მე“ ნაცვალსახელი. რა თქმა უნდა, ლირიკოს პოეტს ვერ ურჩევ, მთლად გაერიდოს ამ ნაცვალსახელს და საერთოდ პირველი პირის ფორმებს, მაგრამ მგონია, რომ სილამაზის გრძნობა, მხატვრული ტაქტი და გემოვნება ამ მხრივ ზომიერების გამოჩენასაც უნდა გულისხმობდეს. პოეტი, რომელიც სერიოზულად აპირებს მკითხველის გულთან საუბარს და მასთან ემოციური კონტაქტის დამყარებას, მთლად არ უნდა უგულებელყოფდეს ამ მომენტს. ხოლო ეთერ სახვაძე რომ სწორედ მკითხველის გულთან სასაუბროდ მოწოდებული შემოქმედია, ეს საეჭვო არ არის. „ჭრელი ქვეყნისგან“ განაპირების, პირადი „მეს“ აქცენტირების ტენდენცია პოეტი ქალისთვის მოდური თვალსაზრისის ხარკი უფრო ჩანს, ვინემ მისი შინაგანი მოთხოვნილება, სულიერი მდგომარეობა. ამის თქმის საფუძველს თვით პოეტის შემოქმედებაზე დაკვირვება გვაძლევს: ნამდვილად მღელვარე, ბუნებრივი, თავისთავადი, საინტერესო პოეტი უპირატესად სწორედ იმ ლექსებშია, რომლებშიც ამ „ჭრელი ქვეყნის“ ხმები ისმის და ფერები ელვარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო გუდიაშვილი



საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 84 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე გუდიაშვილი.

ვ. დ. გუდიაშვილი დაიბადა 1896 წელს. განათლება მიიღო თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. იგი გახდა საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი პირველი მხატვარი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. მის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეთა პლეადის აღზრდა.

ვ. დ. გუდიაშვილი დიდი შემოქმედებითი დიაპაზონის მხატვარი იყო. იგი მუშაობდა დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში, წიგნის გრაფიკაში, თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებაში. ვ. დ. გუდიაშვილის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი მკაფიოდ აისახა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი მიძღვნილ ფერწერულ ტილოებში „კოლმეურნეთა ბრიგადის დაბრუნება“, „ჩაის მკრეფავები“, „გუდამაყრელი მწყემსები“. მხატვარმა შექმნა ქართული კულტურის მოღვაწეთა — ნიკოლოზ ბარათაშვილის, ნიკო ფიროსმანის, დავით გურამიშვილის, კოტე მარჯანიშვილისა და სხვათა პორტრეტების გალერეა. აღიარება მოიპოვა მის მიერ შექმნილმა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, ნიზამის „ხოსროვი და შირინის“, სერვანტესის „დონ კიხოტის“ ილუსტრაციებმა. დიდი სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდგომ წლებში ვ. დ. გუდიაშვილი თავის ნამუშევრებში ააშკარავებდა ფაშიზმის არაადამიანურ არსს.

განუმეორებელი შემოქმედებითი ინდივიდუალობის, მაღალი პროფესიული კულტურის მხატვარი ვ. დ. გუდიაშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა მაღალ ჰუმანისტურ იდეალებს. მისი ნაწარმოებები შევიდა საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოქროს ფონდში, მათ დაამშვენეს ქვეყნის მუზეუმების კოლექციები.

ვ. დ. გუდიაშვილის შემოქმედებითმა, მეცნიერულ-პედაგოგიურმა და საზოგადო მოღვაწეობამ საერთო-სახალხო აღიარება მოიპოვა, პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურა. მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებულია ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით. მას მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის საპატიო წოდება, საქართველოს სს რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

შესანიშნავმა ხელოვანმა, უაღრესად თავმდაბალმა და კეთილმა კაცმა, ჭეშმარიტმა მშრომელმა ვ. დ. გუდიაშვილმა მთელი თავისი ნიჭი და სულიერი ძალები მოახმარა ჩვენი ხალხის, საბჭოთა სამშობლოს სამსახურს.

ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, კ. უ. ჩერნენკო, პ. ნ. დემიჩევი, ე. ა. შევარდნაძე, მ. ვ. ზიმიანინი, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ვ. თ. შაურო, გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, ი. ი. ბარაბაში, მ. ი. ბერძენიშვილი, ა. მ. გრიცაი, ნ. შ. ჯანბერიძე, უ. მ. ჯაფარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ე. ეფიმოვი, გ. ა. ივანოვი, ი. კ. კოროლედი, პ. ნ. კრილოვი, მ. ვ. კუპრიანოვი, დ. ა. ნალბანდიანი, გ. შ. ორჯონიკიძე, მ. ვ. პაშკოვი, ნ. ა. პონომარიოვი, ტ. ტ. სალახოვი, ნ. ა. სოკოლოვი, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ს. პ. ტკაჩოვი, ნ. ვ. ტომსკი, ზ. პ. ტუმანოვა, დ. ა. შმარინოვი.

საბჭოთა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 84 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მხატვარი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე გუდიაშვილი. ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება 60 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. იგი სამხატვრო მოღვაწეობის სარბიელზე დიდი ოქტომბრის რევოლუციის წინ გამოვიდა და მაშინვე მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება ქართული საბჭოთა ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესს. მეტად თავისებური იყო სამყაროს მისეული ხედვა, იგი გამოირჩეოდა მხატვრის ღრმა ორიგინალობით და გულისხმიერად ეხმაურებოდა თანამედროვე ცხოვრების ყველა მოვლენას.

ამ გასაოცარი ალღოს მქონე, ბუნებით რომანტიკოსის, ხელოვანის შემოქმედებაში მუდამ იგრძნობოდა მშობლიურ ნიადაგთან, რეალურ სამყაროსთან განუყრელი კავშირი, ფიქრი მის საზრუნავსა და მორალურ-ესთეტიკურ პრობლემებზე, საბჭოთა ადამიანს რომ აღელვებს. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მან სახეების ნათელი და განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა.

ლ. გუდიაშვილი დაიბადა 1896 წელს თბილისში. ხატვის ნიჭი სიყმაწვილეშივე გამოაჩნდა. 1910-1914 წლებში სწავლობდა თბილისის ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში. მისი პირველი ნახატები — ლ. ქიაჩელის მოთხრობების ილუსტრაციები — გაჩნდა უკვე 1914 წელს, ხოლო 1915 წელს მხატვარმა თავისი ნაწარმოებების გამოფენა მოაწყო.

1916 წელს იგი იყო საქართველოს მხატვართა საზოგადოების დამაარსებელთა შორის, რომელმაც დაისახა არა მარტო შემოქმედებითი მიზნები, არამედ ძველი ქართული ხელოვნების შესწავლის ამოცანაც, როცა 1917 წელს გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა სამეცნიერო ექსპედიცია მოაწყო საქართველოს სამხრეთის ისტორიულ პროვინციებში, ჭაბუკი გუდიაშვილი მასში მონაწილეობდა, დიდი გატაცებით ეცნობოდა სიძველის ძეგლებს, იღებდა შესანიშნავი ძველი ქართული ფრესკების პირებს, რასაც, მისი თქმით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მისი, როგორც მხატვრის ჩამოყალიბებისათვის. 1919 წელს ქართველ მხატვართა პირველ გამოფენაზე გუდიაშვილმა წარმოადგინა ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები და მაშინვე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. 1919-1926 წლებში გუდიაშვილი ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც ქართველ ხელოვანთა ჯგუფთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთის დედაქალაქის მხატვართა ცხოვრებაში. გუდიაშვილი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა მიმართულებისა და სკოლის უდიდეს წარმომადგენლებთან და მოვლენათა შუაგულში ტრიალებდა, უცხო გავლენის ქვეშ არ მოექცა, არ დაუკარგავს საკუთარი სახე, პირიქით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც შესანიშნავი თავისთავადი ეროვნული მხატვარი. იგი მონაწილეობდა ბევრ გამოფენაში, აწყობდა პერსონალურ გამოფენებს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, სწორედ მაშინ მის შემოქმედებას გამოკვლევები მიუძღვნეს თვალსაჩინო ფრანგმა კრიტიკოსებმა.

ლადო გუდიაშვილი ის ხელოვანია, რომელიც ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების პიონერთა მხარდამხარ ოსტატდებოდა, გუდიაშვილი, რომელიც თავდაპირველად თავის გამოცდილებას უზიარებდა ახალგაზრდობას, როცა მეთაურობდა სამხატვრო აკადემიის მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების კათედრას, თვითონვე იძენდა ახალ გამოცდილებას და ეხმაურებოდა სინამდვილეს. მან ერთ-ერთმა პირველმა მოაწერა ხელი „საქართველოს რევოლუციურ მხატვართა დეკლარაციას“, რომელიც მოითხოვდა სოციალისტურ მშენებლობაში ხელოვნების აქტიურ მონაწილეობას.

მრავალმხრივი იყო გუდიაშვილის შემოქმედებითი ინტერესები — ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, პორტრეტისტი, რომელმაც შექმნა თანამედროვეთა და წარსულის მოღვაწეთა სახეების მთელი გალერეა, ისტორიულ ტილოების ავტორი, რომლებიც გამსჭვალულია პატრიოტიზმის გრძნობით, ავტორი მწვავე სოციალურ თემებზე შექმნილი სურათებისა, სოციალისტური მშენებლობისადმი მიძღვნილი ტილოებისა, კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებების ილუსტრატორი და პირველი ქართველი მხატვარი XVII საუკუნის მინიატიურისტების შემდეგ, რომელმაც შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების ციკლი.

დიდი სამამულო ომის წლებში გუდიაშვილმა შექმნა სარკაზმით აღსავსე გრაფიკული ნამუშევრების ციკლი, რომელშიც სამარცხვინო ბოძზეა გაკრული ფაშიზმის მხეცური სახე.

გუდიაშვილი უკანასკნელ დღემდე საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და საქმიანი მონაწილე იყო. მისი სახელოსნო, რომელიც ყოველთვის ღია იყო ხალხისათვის, რესპუბლიკის დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა გახდა. თავად იგი ყველას უყვარდა, როგორც გულისხმიერი, კეთილშობილი და კეთილი ადამიანი, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი და ინტერნაციონალისტი.

გუდიაშვილის ნაწარმოებების პერსონალური გამოფენები ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ ყოველთვის უდიდეს ინტერესს იწვევდა. გუდიაშვილი უაღრესად პოპულარული იყო. საქართველოში მისი სახელი მხატვრის სინონიმად იქცა, ამ სიტყვის უდიდესი და კეთილშობილური მნიშვნელობით. გუდიაშვილის შემოქმედება ქართული კულტურის ისტორიის ცალკე კარია. მისი შემოქმედების შესახებ მონოგრაფიებსა და ნარკვევებს ქმნიდნენ თვალსაჩინო საბჭოთა და საზღვარგარეთელი ხელოვნებათმცოდნენი.

ლადო გუდიაშვილის წვლილი საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში დიდად დააფასეს პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ — მას მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სოციალისტური შრომის გმირის, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდებანი.

ლადო გუდიაშვილის სახელი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა ხელოვნების უანგარო სამსახურს, დიდი მხატვარი პატრიოტის, მამულიშვილის სახელი, სამუდამოდ იცოცხლებს საბჭოთა კულტურის ისტორიაში, ხალხის ხსოვნაში.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა, ნ. ა. პონომარიოვი, ტ. ტ. სალახოვი, ნ. ვ. ტომსკი, ა. დ. ალექსიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, გ. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, ნ. შ. ჯანბერიძე, გ. შ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელაია, ნ. ვ. გურგენიძე, გ. დ. ბაბუნია, ი. ო. ანდრიაძე, ი. გ. აბაშიძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, მ. ი. ბერძენიშვილი, ვ. ვ. ბერიძე, მ. ხ. გოლქვაძე, ს. გ. ვირსალაძე, ს. მ. გაბელია, დ. გ. თაყაიშვილი, რ. გ. თორდია, გ. კ. თოთიბაძე, ზ. კ. წერეთელი, მ. გ. შავლოხოვი, უ. მ. ჯაფარიძე.

გვაქვს უთვალავი ფერითა

ლადო გუდიაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართული მწერლობა.

მხატვარი იმ თავითვე სულ მწერლებს შორის ტრიალებდა. მისი განუყრელი მეგობრები და პირველი დამფასებლები პოეტები იყვნენ და თავად ბუნებით პოეტმა სიკვდილამდე შეინარჩუნა მათი სიყვარული და ერთგულება.

პოეტები მაშინაც მხარში ედგნენ ლადო გუდიაშვილს, როცა უჭირდა და, დღესაც, მისი დარბაზების აუცილებელი სტუმრები იყვნენ, როცა იგი საყოველთაო აღიარებისა და დაფასების ნაყოფს იმკიდა.

ლადო უცხოეთშიც პოეტების სიახლოვეს არჩევდა თურმე და პარიზში ყოფნისას მხატვრებთან მეგობრობას ანდრე სალმონთან და მაიაკოვსკისთან ახლო ურთიერთობით ალამაზებდა.

ხალხური პოეზია და ქართული მითოსი ლადო გუდიაშვილის შთაგონების მთავარი წყარო იყო; ფიროსმანისა და გრიშაშვილისეული თბილისური ბოჰემა მისი მხატვრობის ყველაზე კოლორიტულ ნაკადს ჰკვებავდა და შორეულ საფრანგეთში, მოქეიფე კინტოების ხატვით, სამშობლოს ნატვრის წყურვილს იკლავდა.

ლადო გუდიაშვილმა თავისი დიდი და განუმეორებელი სამყარო შექმნა. ეს სამყარო მან ზღაპრული დევებითა და ჭინკებით, ქართველი მზეთუნახავებითა და ვაჟკაცებით დაასახლა. მის მიერ შექმნილ ამ ნაირფერად სამფლობელოში პოეტებსაც — რუსთაველსა და გურამიშვილს, საბასა და არსენას ლექსის მთქმელსაც ფართოდ გაუღო კარი და ისინი თავის თანამედროვე პოეტებთან ერთად ფერებისა და ხაზების გასაოცარი დღესასწაულის მონაწილეები გახადა.

ძველი ქართული ფრესკა და ცოცხალი საქართველოს პეიზაჟი, აღმოსავლური მინიატურა და დასავლური მოდერნიზმი თავისებურად გარდაიტეხა ლადო გუდიაშვილის ფანტაზიაში, მისი მხატვრობის ეროვნულ ხასიათს კიდევ მეტი თავისებურება და განუმეორებლობა შესძინა.

თავადაც გასაოცარი პლასტიკით დაჯილდოებული მხატვარი, სულისა და სხეულის მოძრაობას ისეთი ექსპრესიით გადმოსცემდა, რომელიც მარტო მას შეეძლო დაენახა და ეგრძნო.

ლადო გუდიაშვილი ბოლომდე ბავშვივით გულუბრყვილო და უშუალო დარჩა, სინაზე და თავმდაბლობა მისი თანდაყოლილი თვისება იყო და მისი ხასიათის ეს ნიშნები კიდევ უფრო მომხიბვლელს ხდიდა საყვარელი მხატვრის პიროვნებას.

ბოლო წლებში თბილისში სტუმრად ჩამოსულ უცხოელთათვის გუდიაშვილის დარბაზების მონახულება თითქმის აუცილებელ მოთხოვნილებად იქცა.

აქ ისინი ჩვენი სამშობლოს ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებას, ახალი ფერებით და მუსიკით ივსებდნენ და იმდიდრებდნენ.

ასე ამამაღლებლად გააგრძელებს ახალ მარადიულ ცხოვრებას მომავალშიც გუდიაშვილის შემოქმედება, მხატვრის მიერ შექმნილი დიდებული სამყარო, რომელიც რუსთაველის თქმისა არ იყოს დღეს ჩვენ „გვაქვს უთვალავი ფერითა“.

გრიგოლ აბაშიძე

მწერლობის დიდი მეგობარი

ცნობილია, ლადო გუდიაშვილის ჭეშმარიტი ძმობა და მეგობრობა მწერლებთან. განსაკუთრებით კი პოეტებთან. რამდენმა პოეტმა უძღვნა ფუნჯის დიდოსტატს გულწრფელი სტრიქონები. თავადაც ხომ სულით ხორცამდე პოეტი გახლდათ.

მხცოვანი პარნასელი და მეოცნებე ჭაბუკი... რვა ათეულ წელიწადს გადაბიჯებული, ისევე დაუცხრომელი მაძიებელი გახლდათ, ვითარცა სიჭაბუკის ჟამს, როცა პარიზის ქუჩებში ამადეო მოდილიანთან თუ ბასკ დიდოსტატ იგნასიო სულოაგასთან ერთად ძიების, შეუცნობელის შეცნობის ჟინით იყო შეპყრობილი.

მემაყება, რომ ჩემი სამუშაო ოთახის კედლებს მის მიერ ნაბოძები მისი ნახატები ამშვენებენ.

თავმოსაწონებლად სტუმრები მის ბინა-სახელოსნოში მიგვყავდა. ხშირად კი ვაწუხებდით... სიტყვა სახელოსნო უხეიროდ ჟღერს. სახელოსნოში კი არა, გუდიაშვილის ჯადოსნურ წალკოტში მიგვყავდა სტუმარი. ამ ჯადოსნური სამყაროს შარავანდედი ადგას გუდიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებს.

მახსოვს თბილისში ამერიკელი მწერალი ჯონ აპდაიკი ჩამოვიდა, მას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა რომანი „კენტავრი“. ახალ რომანზე ვმუშაობ, ლექსების წერისათვის ვეღარ ვიცლიო. მაგრამ, როდესაც ვეწვიეთ ლადო გუდიაშვილს, იმდენად მოიხიბლა, რომ გვთხოვა ცოტახანს კიდევ დავრჩენილიყავით, ულექსოდ ვერ დავშორდებიო გუდიაშვილის ამ ჯადოსნურ სამყაროსა და მუნასიბად მიუძღვნა მასპინძელს მშვენიერი ლექსი, რომელიც მრავალ ენაზე ითარგმნა და მეც გადმოვაქართულე. ეს ლექსი ასე მთავრდება:

აქ, მხატვრის ბინაში,
მზის თვალი ტრიალებს,
აქ, მხატვრის ბინაში,
ბაღია მოშრიალე...

და მოაქვს ჩვენამდე
ამ კეთილ მებაღეს,
სული უძლეველი,
გული ვაჟკაცური...

და მოაქვს ჩვენამდე
ამ ფერთა ნიაღვარს
სიცოცხლე, სიუხვე,
აწმყო და წარსული.

მართლაც, ჩვენი ხალხის უძლეველ სულს, აწმყოსა და წარსულს ძალუმად აგრძნობინებს მომავალ თაობებს უკვდავი ხელოვანი.

იოსებ ნონეშვილი

უკვდავი სახელი

გლოვა და მწუხარება გვმართებს, რომ დავკარგეთ დიდი ხელოვანი, მხატვარი და მოქალაქე — ლადო გუდიაშვილი.

მთელი მისი ცხოვრება იყო დაუცხრომელი ძიება, ნაყოფიერი შრომა, რის შედეგადაც შექმნა მრავალი შედევრი, თავისი ქვეყნის სიყვარულსა და მშობლიური ხალხის ხასიათს ამჟღავნებს ამ შედევრებში.

უამრავი რუსი თუ საზღვარგარეთელი ხელოვანის კოლექციას ამშვენებს ლადოს ნაწარმოები, და ასე გააქვს მხატვრის შემოქმედებას საქართველოს ხელოვნებისა და კულტურის სახელი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ.

ლადო მარცხენა ხელით ხატავდა და ამიტომ ყველაფერი, რასაც ის ქმნიდა თითქოს განსაკუთრებულად ახლოს იყო მის გულთან.

ახლა, ამ გლოვის დღეებში, იმის დრო არ არის, გავიხსენო მრავალი რამ, რაც ლადოს ახალგაზრდობის წლებიდან მახსოვს, გავიხსენო ის, რითაც ასე გვხიბლავდა მეგობრებსა და ახლობლებს.

ნეტავი მართლაც არსებობდეს საიქიო, რაზედაც ასე ოცნებობს უკვდავი სულის ტრფიალი ჩვენი ხალხი, რომ შემეძლოს მასთან კვლავ შეხვედრა და იმ სიხარულის ხელახალი განცდა, რასაც მასთან ურთიერთობა მანიჭებდა.

გემშვიდობები, ძვირფასო ლადო, შენი სახელი უკვდავია და ქართველი ხალხისათვის მუდამ სიამაყით გასახსენებელი.

სერგო კლდიაშვილი

ხმა ფერისა

ყოველი ერის კულტურული ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში, მისი შემოქმედებითი გენი დროდადრო ისე მძაფრად გამოიკვეთება ხოლმე ამა თუ იმ ადამიანში, რომ იგი ლამის ერის განზოგადებულ სახედ იქცევა.

დღევანდელ საქართველოში, რამდენიმე ათეული წელია, ლადო გუდიაშვილი ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა. მისი ხელოვნების საწყისიც და ცხოვრების წესიც, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე იმ სუფთა მდინარეს ჰგავდა, რომელიც ერის სულიერი ოაზისის გულისგულში ჩაედინებოდა და უხვად ანაყოფიერებდა მას.

იგი იყო ცოცხალი მაგალითი შემოქმედებითი უანგარობისა, უმწიკვლობისა, შინაგანი სიმართლისა და პიროვნული მომხიბვლელობისა. მან იცხოვრა ყველა შემოქმედისათვის სამაგალითოდ, პიროვნული სიჩუმით, მაგრამ ამაღლებული შემოქმედებითი სიდიადით, რომლის „ხმა ფერისა“ დიდი ხანია დაიძრა მარადიულობისაკენ.

როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, ისიც ათეული წლების მანძილზე მხოლოდ საკუთარი სულის ტაძარში ეძიებდა მორალურ სიმშვიდეს და კმაყოფილებას.

მე, მის უმცროს მეგობარს, კოლეგას, წლების მანძილზე მქონდა ბედნიერება ახლოს შევხებოდი მის ადამიანურ სიდიადეს და ინტიმში მეგრძნო ის, რასაც იგი ასე ხმამაღლა აცხადებდა ხაზით და ფერით.

დიდია ჩვენი სევდა, სინანული ლადო გუდიაშვილის ფიზიკური გარდაცვალების გამო, მაგრამ მას ანელებს ლადო გუდიაშვილის სულიერი მემკვიდრეობა, რომელიც დარჩა როგორც უკვდავება.

ელგუჯა ამაშუკელი

მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანი

ქართველ საბჭოთა ფერმწერთაგან არავის ჰქონია ისეთი მსოფლიო რეზონანსი, როგორც ლადო გუდიაშვილს. მისი სახით არამარტო საბჭოთა, მსოფლიო ფერწერასაც დიდი ბოძი წაექცა.

გუდიაშვილმა თავიდანვე მძაფრი სოციალური თემებით დაიწყო ქართულ ხელოვნებაში შემოსვლა და ბოლომდე თავისი არჩევანის ერთგული დარჩა. ამით ის არსებითად განსხვავდებოდა ევროპული იმპრესიონიზმისაგან, ხოლო ევროპაში სწავლამაც თითქმის არაფერი შეუცვლია მის საერთო კრედოში, რომელიც ქართული ძირებით ყოველთვის ძლიერი იყო. თვრამეტი წლის ყმაწვილმა, 1914 წელს „თეატრსა და ცხოვრებაში“ რომ გამოაქვეყნა თავისი პირველი გრაფიკული ნამუშევრები — „დაცემული კაცი“ და „ფრონტელი დედასთან“, ისე განაგრძო შემოქმედებითი ცხოვრება, როგორც იწყებენ და აგრძელებენ ჭეშმარიტად დიდი მხატვრები. ისინი დროის პრობლემებს ეჭიდებიან და არასოდეს ეპოქას არ ეთიშებიან.

არ არის გუდიაშვილის არც ერთი ნამუშევარი, რომელშიაც დროის სუნთქვა არ იგრძნობოდეს.

გუდიაშვილი არ აჰყოლია იმდროინდელი ევროპელი მხატვრების ცდუნებას — „დაეწყვათ ლუვრი“, როგორც ძველი ხელოვნების მექა და მედინა, შექმნათ ახალი, რომელსაც სინამდვილის აბსოლუტური დეფორმაციის პარალელურად გეომეტრიული ფიგურები იბატონებდნენ. არც რობსონის აკადემიაში, სადაც გუდიაშვილი სწავლობდა, არც შემდეგ, მას აზრადაც არ ჰქონია იმდროინდელი მოდერნიზმისა და ძველი აკადემიზმის სინთეზი ამგვარად გაეგო. გუდიაშვილმა სრულიად საწინააღმდეგო გზა აირჩია, რომელიც კარგად შენიშნა მაშინდელმა ერთმა კრიტიკოსმა. ის მიხვდა, რომ გუდიაშვილი, „ინდივიდუალური ტალანტი“, იყო ხელოვნების შინაგანი ძალისა და მისი ეროვნული ფერმენტების ორგანული განსახიერება. მაშასადამე, ვერ გახდებოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, თუ ესპანური „მოდერნების“ ქომაგი.

შემთხვევითი არ იყო, რომ ამ კრიტიკოსმა — რეინალმა პარიზში 1925 წელს სპეციალური წიგნი გამოსცა სახელწოდებით — „ლადო გუდიაშვილი“, მისივე ოცდაათი ნაწარმოების რეპროდუქციით. რეინალმა ხაზგასმით აღნიშნა — ვინც გუდიაშვილის ფერწერას გაეცნობა, ის საქართველოს განსაკუთრებით შეიყვარებსო.

როგორც საფრანგეთის, ისე ამერიკისა და სხვა ევროპელი მნახველების თვალში შეუჩერებლად იზრდებოდა გუდიაშვილის, როგორც თვითმყოფი ქართველი ხელოვანის ავტორიტეტი. იგი ევროპასა და ამერიკაში მრავალი გამოფენის მონაწილე იყო. ასე გაგრძელდა შემდეგაც, ხოლო 1925 წელს პარიზში 28 ივნისიდან 11 ივლისამდე ლადო გუდიაშვილის პერსონალური გამოფენა მოეწყო, რაც ქართველი ხელოვანის მსოფლიო აღიარების კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენდა.

როცა 1926 წელს გუდიაშვილი საქართველოში დაბრუნდა, მისი შემოქმედების ახალი ეტაპი არსებითად იწყება „ზეინკლებით“, რომელიც მომდევნო წელს მიეკუთვნება. ფერმწერალი იწყებს ახალი ქართული ყოფის ასახვას, კოლოსალურად შრომობს, ქმნის მრავალ ნაწარმოებს. რომლებმაც მას დიდად აუმაღლეს ავტორიტეტი და მოუტანეს საყოველთაო აღიარება სოციალისტური შრომის გმირის სახელთან ერთად.

შეუძლებელია მოკლე წერილში მიახლოებითაც კი გააკეთო გუდიაშვილის უმდიდრესი შემოქმედების ანალიზი. მისი თანამედროვე, თუ ისტორიული, სამამულო ომის თუ ყოფითი თემები ისე ღრმა აზრითა და დიდი მხატვრული ღირსებით გამოირჩევა, რომ შეფასებას ვრცელი მონოგრაფიაც ძლივს დაიტევს.

საოცრად ჰარმონიული და ჰაეროვანია ლადო გუდიაშვილის ფერწერული ნამუშევრები, მათ შორის „გაზაფხული“, „თეთრი რაში“, „კოლმეურნე გოგონები“, „მეჩაიეები“. თითოეულ მათგანს სინატიფის რაღაც ჯადოსნური ელფერი დაჰკრავს და მნახველს აღუძრავს სილამაზის ესთეტიკურად დამათრობელ გრძნობას. მისი ფერწერა მთლიანად პოეზიაა. ფერებით ამეტყველებული, და ეს პოეზია მთლიანად ფერწერაა — პოეტურად ამღერებული.

ქართულმა მთამ, საიდანაც გუდიაშვილის მშობლები იყვნენ, ორი დიდი გრძნობა გაუძლიერა ფერმწერალს: სამშობლოს სიყვარულისა და სამშობლოს სილამაზის გრძნობა. ორივეს შესწირა მთელი თავისი ცხოვრება ამ სახელოვანმა პატრიოტმა კაცმა. მისი შემოქმედება არამარტო განუმეორებელი ტალანტით, სამაგალითო ეპიკური შრომითაც არის აღბეჭდილი. მსოფლიოში ერთეულებნი არიან, რომლებსაც ფერწერაში იმდენი ნაწარმოები ჰქონდეთ, რამდენიც გუდიაშვილს. მისი შემოქმედება ოთხი ათასამდე ნაწარმოებს ითვლის. ჩვენი ქვეყნის გარდა, მისი ნამუშევრები — ათასამდე აქვთ ევროპისა და ამერიკის მუზეუმებს. განთქმულ ლუვრში კი ჩვენ თვითონ ვნახეთ გუდიაშვილის ორი ნახატი. ყველა ნაწარმოებში, იქნება ეს ქართველ მწერალთა თხზულებების ილუსტრაციები, თეატრალური გაფორმებანი, პორტრეტები, თუ გრაფიკული ნამუშევრები — გუდიაშვილი გვევლინება ორიგინალურ მხატვრად, რომელსაც საკუთარი ხელწერა არა მარტო თავისი განთქმული სტილით, ღრმა იდეურ-აზრობრივი ორნამენტებითაც დაუმშვენებია. მას, როგორც სახალხო მხატვარს, პედაგოგს, საზოგადო მოღვაწეს, კინოს, თეატრის აღიარებულ ოსტატს იმდენი აქვს გაკეთებული, რომ უკვდავებისათვის რომელიმე მათგანიც საკმარისი იქნებოდა.

ლადო გუდიაშვილი კეთილშობილებით სავსე, უანგარო, სათნო ადამიანი იყო. მას ისეთივე შინაგანი სილამაზე ჰქონდა, როგორც მისსავე შედევრს „ფრესკის ღიმილს“. განმაცვიფრებელი ჩანდა დიდი ფერმწერლის შემოქმედებისა და პიროვნული მონაცემების არაჩვეულებრივი ჰარმონიული ერთიანობა. მეგობრობის ნიშნად გხატავდა თუ სიყვარულით გამთბარ პირად წერილს გიგზავნიდა, იცოდი, რომ ორივე შემთხვევაში ის ბოლომდე გულწრფელი იყო.

როგორც ანტიკური ფერმწერლების, ისე ლადო გუდიაშვილის პალიტრას მხოლოდ ერთი კანონი ჰქონდა — ეს იყო სილამაზე. თუ გვინდა მთელი მისი შემოქმედება ერთი სიტყვით დავახასიათოთ, საკმარისია ვუწოდოთ მას მშვენიერება. რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს გუდიაშვილის ყალამი, წარსულს თუ აწმყოს, თანამედროვეობას თუ მომავალს, იგი ყველგან ერთია — ლადო გუდიაშვილია თავისი ორიგინალური, განუმეორებელი, უკვდავი სილამაზით. ეს ნამდვილად ის სილამაზეა, რომლის შესახებაც პოეტმა გრძნეულად დაიმღერა ნინო ჭავჭავაძეზე — „შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს არ უწერია გადაშენება“. ლადო გუდიაშვილის შემოქმედება ასეთივე სილამაზეა და მას ვერასოდეს დაჩრდილავს დროის ულმობელი დინება. ამ სილამაზის სანახავად მოდიოდნენ გუდიაშვილის სალონში მსოფლიოს ყველა კუთხიდან მნახველები, რომლებიც ყოველთვის განცვიფრებულნი იყვნენ ქართველი მხატვრის გენიალური შემოქმედებით. და ქართული საბჭოთა ფერწერა ბედნიერია, რომ მის ულამაზეს ცაზე ლადო გუდიაშვილი ბრწყინავს, როგორც ცისკრის ვარსკვლავი!

გიორგი ჯიბლაძე

დაიღალა მაჯა

ლადო გუდიაშვილის სახელი და გვარი პირველად მოწაფეობის დროს გავიგონე და ამოვიკითხე იმ ხანებში (1916) გამოსულ ერთდროულ სალიტერატურო კრებულ „მერანში“. ის ალმანახი სანდრო შანშიაშვილის რედაქტორობით გამოვიდა, შიგ ცნობილი ქართველი მწერლები მონაწილეობდნენ და გაზეთ „საქართველოს“ ხელმომწერლებს უფასო პრემიად დაურიგდათ.

ალმანახი დროის შესაფერისად კარგად იყო გაფორმებული — თანდართული ჰქონდა ცნობილ მხატვართა მიერ შესრულებული ბარათაშვილის პორტრეტები და „მერანის“ რეპროდუქციები. აქ იყო მოსე თოიძის, ვალერიან სიდამონ-ერისთავის, ი. გვანცელაძისა და სხვათა მიერ დახატული მერნები. აქვე ცალცალკე ვნახე ლადო გუდიაშვილის ორი ნახატი: ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი „მერანი“. არცერთ ზემოდასახელებულ მხატვართა ნამუშევრებს არ ჰგავდა ეს ორი ნაწარმოები. მათი სურათები ძალზე რეალისტურია: მათი მერანი — უბრალოდ ცხენია, ყორანი — ყორანია, გარშემო —მთები და გაშლილი ველი, ისე როგორც ცხოვრებაშია — კარგი ფოტომოყვარულის მიერ, არც ისე შნოიანად, გადაღებული... ყველაფერი ჩვეულებრივი. ასეთ რეპროდუქციებს ბლომად შეხვდებით მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. სულ სხვა იყო ლადო გუდიაშვილის ქმნილებები. როგორც ახლა ვხვდები, ეს იყო მხატვრის საკუთარი ხმა. მისი ტემპერამენტი, საკუთარი სამყარო და გააზრება... მერანი ისე კი არ მიჰქროდა სადღაც უდაბნოში, თუ ტრიალ მინდორსა და უღრან ტყეების ზემოთ, როგორც იმ მხატვართ ჰქონდათ მოფიქრებული, არამედ რაღაც სულ სხვანაირი, შეიძლება პარადოქსულადაც ითქვას, თუმცა ირეალური, მაგრამ მაინც მიწიერი და გასაგები, ვიდრე სხვა მხატვართა ნამოქმედარი, სწორედ ისეთი, როგორც გალაკტიონის ბევრი შედევრია. ისეთივე ორიგინალურად და სამაგალითოდ შესრულებული მისი ცეკვა „ბაღდათური“, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვნახე — სვეტიცხოვლის ფართო ეზოში ამ ორმოციოდე წლის წინათ. მცხეთობის დღესასწაულზე იმ დღეს იქ იყვნენ კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე ქუთათელი, სერგო კლდიაშვილი, შალვა აფხაიძე, ჩვენი დაუვიწყარი ნატო ვაჩნაძე, მსახიობები და კომპოზიტორები.

როცა ზარზეიმმა და მხიარულებამ ზენიტს მიაღწია, როცა აცეკვებულმა სერგო კლდიაშვილმა ნატო ვაჩნაძეს პირბადიანი შლიაპა თავიდან მოაძრო, თვითონ დაიხურა და ნატოსთან ერთად ქალურად განაგრძო „უზუნდარა“. ლადოს სთხოვეს „ბაღდათურის“ თამაში, და ისიც ისე შეუდგა ამ ცნობილი ცეკვის როკვას, თითქოს რომელიმე შედევრს ხატავსო. თავისი ჟღალი თმის ფერი კოსტიუმი და შავ-შავი მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ცეკვის დროს თეთრსპექტაკი პერანგის სახელოები მაჯებზე წამოეჩაჩა, ეს შეამჩნია, ოდნავ — შიგ შეწევით, გადაიკაპიწა, და ყველა გააკვირვა მისი მაჯების, საერთოთ მთელი მისი ხელთა მტევნების ვირტუოზულმა მოძრაობამ: რა ღონიერი და მძლავრი მაჯები ჰქონდა. თითქოს რაღაც საშინელი, რკინისებური ძალა და ენერგია გამოკრთა იმ მაჯებიდან და ჟრუანტელის მომგვრელად აუღერდნენ და გაიტკაცუნეს თითებმა — ცეკვის ტაქტზე.

ასევე კოხტად, აღფრთოვანებით, ზეშთაგონებითა და ამღერებულად ცეკვავდა მოხუცი ელისაბედ ჩერქეზიშვილი მარჯანიშვილისეულ „მზის დაბნელებაში“, ისიც გუდიაშვილისეულად ხმარობდა და მიმოხრიდა მაჯებსა და ხელის მტევნებს, მისებურად კვანწავდა და ქარგავდა საცეკვაო ილეთებს, კილოებსა და ფანდებს. ასევე თავგამოდებითა და ოსტატურად ცეკვავდა ახალგაზრდა ვასო გოძიაშვილი „მაჩიხ“ „კაკალ გულში“, ასევე ახალისებდა მსმენელ-მაყურებელთა თვალს, ახარებდა მათ სულსა და გულს გიორგი შავგულიძე იმავე „ბაღდათურში“, რაიც, როგორც ცნობილია, ლადოს კონსულტაციითა და რჩევა-დარიგებით სრულდებოდა ყველგან... .

...როცა რამდენიმე წლის წინათ სამხატვრო გალერეაში მოეწყო ლადო გუდიაშვილის ქმნილებათა პირველი პერსონალური გამოფენა, ყველას თვალწინ გადაიშალა გრანდიოზული, არნახული, გასაოცარი სანახაობა... სად იყო შემონახული ამდენი ნახატი! რა ხელმა და მაჯამ შეძლო დაეხატა და მოეხაზა რამდენიმე ასეული შედევრი და შესანიშნავი ტილო, იქ რომ ეკიდა! სად ჰქონდა ამდენი ძალი და ღონე, ესოდენი შემართება და დაუოკებელი ენერგია ამ არცთუ ისე ბუმბერაზ, საშუალო ტანისა და ზომის ადამიანს, ამ უხმო, ჩუმ, უწყინარ კაცს, რა მაჯამ გაუძლო ამ უზარმაზარ ტილოების მოსახატავად და ზედ ფუნჯის თუნდაც მოსმასა და ოდნავ მინანებას. ვერაფერს ვიტყვი უდიდეს ნიჭსა და უსაზღვრო ზეშთაგონებაზე, ეს ჩემზე უფრო უკეთ კომპეტენტურ მსმენელ-მაყურებელთა და სპეციალისტთა საქმეა. მხოლოდ ის უნდა განვაცხადო, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ შეეძლო იმ ადამიანისა და შემოქმედის გამრჯე მაჯას, მგზნებარე ტვინსა და გამრჯე გონებას, რომელიც ასე თავდავიწყებით და აღტაცებით ცეკვავდა იმ დღეს დიდებული სვეტიცხოვლის ეზოში... ეს კი კაი ხნის წინათ იყო. იმ დღეს იღებდნენ კინოფილმ „დავით გურამიშვილს“ და მცხეთის ტაძრის ძველი გალავანი ყიზილბაშებად გამოწყობილი მსახიობ-სტატისტებით იყო მოფენილი.

...გუშინ, 1980 წლის 24 ივლისს, მთაწმინდელთა სანეტარო სავანეს, მათ დიდებულ კრებულს კიდევ მიემატა უკვდავების ერთი ბინადარი!

ნიკა აგიაშვილი



ლადო გუდიაშვილი:
„მეჩაიეები“, „ოცნების ტყვეობაში“, „ფიროსმანი“.

ახალი ლექსები

ენვერ ნიჟარაძე

რატომ ქრებიან ხსოვნის სანთლები

რატომ ქრებიან
ანთებული
სანთლები ხსოვნის?
კვლავ გეკითხები,
გეკითხები
თვალებით სოვლით.
მას, რაც ოდესმე
სულს დააჩნდა
საშინელ ზზარად,
აწ დავიწყების
მტვერი რატომ
ავსებს და ფარავს.
იქნება მართლა
პირი შეჰკრა
ყველა ჭრილობამ,
იქნებ თანდათან
დამეუფლა
მეც გულგრილობა.
იქნებ ოდითგან
ასე ხდება
ცხოვრების წესით...
და მეც ვტრიალებ
ერთფეროვან
დღეების წრეში.
ხანდახან თითქოს,
ამბოხების
დამზაფრავს ელდა,
გავრბივარ სადღაც...
და ვბრუნდები
უკანვე შენთან
და გეკითხები,
გეკითხები
თვალებით სოვლით:
რატომ ქრებიან
ანთებული
სანთლები ხსოვნის?

ყვავილები ასფალტზე

ორიათასი წლის კარიბჭესთან
ვდგავართ მე და შენ —
ცხელი ასფალტის ყვავილები, —
და გვაწვიმს წვიმა
წამოსული სმოგის ღრუბლიდან.
ჩაძირულია ჩვენი ქალაქი
სინათლის ზღვაში
და მანქანების მღვრიე ტალღები
აწყდებიან ღამის ჯებირებს.
ეს ქალაქი ასი წლის წინ,
და უფრო ადრეც — სკასავით დუღდა.
და ეს მდინარეც, როგორც ხმალი ალესილი,
ბრწყინავდა მზეზე.
დაჟანგულია ახლა მახვილი
და ძველ ვნებათა გრიგალები —
უკვე დამცხრალი.
ყოვლი ცოცხალი მაშინდელი —
მიწად ქცეული,
მიწა ასფალტით დაფარული,
ჩვენ კი ასფალტში
ამ მიწიდან ამოსული ყვავილები ვართ.
აღარც ის პეწი, აღარც ფერი
აღარ შეგვრჩა პირველყოფილი.
არავინ მოვა შორეული სანახებიდან
და არ იყნოსავს ბენზინის სურნელს,
რომელიც აგვდის.
არ გამოდგება ჩვენი თესლი
გაშლილ მინდვრებში
და ყანაშიც არ გაიხარებს.
ჩვენ მაშინ ვყვავით, როცა სახეზე
ქვის და ბეტონის ხშირ ტყეებში
მოშრიალე ხმაურის ქარი
გველამუნება.

ფოთლები ოთახის კედლებზე

ვინ მიახატა მისი ოთახის ნაცრისფერ კედლებს
ფოთლები თეთრი,
ვისთვის ანთია, როგორც სანთელი, ფანჯრის რაფაზე
გვირილა კენტი.
ვინ გამოაღო სარკმელი ხსოვნის, ვინ ახსნა ჯაჭვი
დაგმანულ კარებს,
შრიალებს ფარდა და თვალებს მიწვავს კვლავ სინანული
ძველი და მწარე.
იგი აქ იყო ცოტა ხნის უკან, გარეთ წვიმდა და
ჰყვაოდა დაფნა,
იგი აქ იყო, აგერ ახლახანს, არავინ უწყის
მერე სად გაქრა.
და მე ვეძებდი ხან თვალხილული, ხანაც ბრმასავით
ხელისცეცებით,
ვეძებდი, მაგრამ თურმე სრულიად საპირისპირო
მხარეს ვეძებდი.
ვინ მიახატა, ვინ მიახატა თეთრი ფოთლები
ნაცრისფერ ოთახს,
სადაც უმწეო, ჭაღარა ქალი გარდაცვლილ შვილზე
ტირის და შფოთავს.

●

შემოდგომაა, ქარი კვნესის ჩაკეტილ კართან
და შენს სარკმელთან ისევ წვიმის ჰკიდია ფარდა.
რას იზამ, თუ კი ბედმა ისევ დაგტოვა მარტო,
რომ თეთრ სუფრაზე წითელ ღვინით ვარდები ხატო.
ეს მერამდენედ მოდის ჟამი ფოთოლთა ცვენის
და შენ სანთლების შუქზე ტირი ფარული ცრემლით.

ო, იდუმალო ფიქრო

ო, იდუმალო ფიქრო, კვლავ თან მდევ, როგორც მდევედი,
ნელა ვივსები შორი ტყეების მწვანე სევდით.
მოგონებათა სითბო გათელილ გზაზე მიმაქვს
და შადრევნების ვერცხლში ჩქეფს მარმარილოს წვიმა.
ო, ნუთუ ისევ მარტო უნდა ვიარო ქარში
და შენი სახე ჩუმად ვეძებო ყველა ქალში.
იქნებ ამაო არის ძიებაც, თრთოლვაც, განცდაც
და სიყვარული ძველი ბეჭდის თვალივით გაცვდა.
რა ვიცი, ღმერთმა უწყის, მაინც არ ვკარგავ იმედს
თუმცა ბავშვობის მთებზე ბინდი ეშვება მძიმე.
სადღაც, გათიბულ მინდვრებს, სურნელი ასდით თივის
და ღამეს დაღლილ მხრებზე აყრია მთვარის სხივი.
დარჩენილია ისევ, სამყაროს კარი ღია
და ქერუბიმთა სუნთქვა ისმის ღრუბელთა ნიაღ,
და როცა ჰაერს შეძრავს რეკვა დაჟანგულ ზართა,
დაგელოდები მშვიდად შეუცნობელის ზღვართან.

ვერიკო წერეთელი

განა გაძლებს?!..

მზე უსხივოდ, უსინათლოდ,
მყინვარწვერი უსიმაღლოდ
განა გაძლებს?
ტყე უფოთლოდ, უფესვებოდ,
ან პოეტი ულექსებოდ
განა გაძლებს?
ბულბულები უგალობოდ,
მათხოვარი უწყალობოდ
განა გაძლებს?
შუაღამე უსიბნელოდ,
მომღერალი უსიმღეროდ
განა გაძლებს?
კაცი უწყლოდ, უნაწილოდ,
ზღვა უსიღრმოდ, უნაპიროდ
განა გაძლებს?
გაზაფხული უყვავილოდ,
უმერცხლებოდ, უშაშვებოდ,
დედამიწა უბავშვებოდ
განა გაძლებს?

აჩქარებული გული

სიყვარული მათრობს,
მაინც მიჩქარდები, გულო!
მწუხარება მათოვს,
მაინც მიჩქარდები, გულო!
ცაში ვიწყებ ფრენას,
მაინც მიჩქარდები, გულო!
გულს დავაკლებ ლხენას,
მაინც მიჩქარდები, გულო!
ლექსებს ვუალერსებ,
მაინც მიჩქარდები, გულო!
დავწერ უარესებს,
მაინც მიჩქარდები, გულო!..
ქრება ვითარც ქარი,
შენი ერთგულება, გულო,
სადაც მიიჩქარი
იქ რა გეგულება, გულო!

ცეცხლი

ჩემ სახლთან ახლოს წყნარი და
მშვიდი,
ხე მშვენიერი არხევდა ტოტებს.
ტოტის სარკმლიდან უსტვენდა
ჩიტი
თითქოს ფოთლებზე არჩევდა
ნოტებს.
მეც ყოველ დილით სიკეთის
მთესველს,
ჩემს მამებელს, ჩემს
მოალერსეს,
ხეს ვულოცავდი დალოცვილ
ფესვებს
და მეც ჩიტივით ვგალობდი
ლექსებს.
მაგრამ ერთ ღამეს, ოი, იმ ღამეს
თითქოს ტრფობის ცეცხლი
იკლავდა,
ცეცხლი ახვევდა ხეს ალის
მკლავებს
და მიჯნურივით გულში იკრავდა.
მეც იქვე ვიყავ, ვაი იმ ყოფნას,
გადმომცქეროდა ცეცხლი
მაღლიდან.
ხან ალის წვერით ენას მიყოფდა,
ხან ნაპერწკლებად სიცილს
მაყრიდა.
დასწვა, დადაგა, ხეს დასცა
დამბლა,
ტოტზე ოქროსფრად გადაიქარგა,
მერე უეცრად დავარდა დაბლა,
გაქრა და სადღაც გადაიკარგა.
ხე ცახცახებდა, ხე ფერწასული,
მე კი ცრემლებით ვივსებდი
უბეს,
და კვამლი — ცეცხლის
მშფოთვარე სული —
უერთდებოდა ვარდისფერ
ღრუბელს.

საზღვარგარეთის ლიტერატურული ცხოვრება

„თქმა სიმართლისა"

ეს ინტერვიუ, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისცა ჩარლზ პერსი სნოუმ „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტს სვიატოსლავ ბელზას, უკანასკნელი გამოდგა მწერლისთვის. ამდენად, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ბრძენი ჰუმანისტის, აღიარებული მხატვრის უკანასკნელი ნააზრევი, მისეული აღიარება რუსული და საბჭოთა ლიტერატურისა.

— სერ ჩარლზ, თქვენი პირველი წიგნი, დეტექტური რომანი „სიკვდილი იალქანს ქვეშ", 1932 წელს გამოვიდა. რომანი თარგმნილია რუსულად და მისი ტელეეკრანიზაციაც უკვე ნახა მაყურებელმა. ბევრნი თვლიან, რომ დეტექტივი სერიოზული ლიტერატურა არაა. თქვენ კი ნახევარი საუკუნის შემდეგ ისევ მიუბრუნდით ამ ჟანრს. რა გიტაცებთ მასში, რა შესაძლებლობებს აძლევს იგი მხატვარს?

— მე ამ ჟანრს დავუბრუნდი სრულიად სხვაგვარად. ჩემი ახალი რომანი „ლაკის ფენა" სერიოზული რომანია, თუმცა, რა თქმა უნდა, ამავე დროს დეტექტივიცაა. მასში მე შევძელი დამეხატა ექსტრემალურ გარემოებაში მყოფ ადამიანთა საქციელი, რაც განსაკუთრებით ძნელია იმგვარ რომანში, როგორსაც მე ჩვეულებრივ ვწერ ხოლმე. უმეტესწილად დეტექტური რომანის ჟანრი ინგლისურ ტრადიციას ეკუთვნის. დიკენსი სიბერეში წერდა „ედვინ დრუდის საიდუმლოს". ესაა სერიოზული რომანი საკმაოდ მძლავრი დეტექტური ნაკადით. ამგვარი მაგალითები ცოტა როდი გვაქვს.

— მსგავსი სურათი შეინიშნება რუსულ ლიტერატურაშიც. დოსტოევსკიც იყენებდა ამ ჟანრს.

— რა თქმა უნდა, მანაც ბრწყინვალედ გამოიყენა დეტექტივი. მაგალითად „ძმები კარამაზოვები" შესანიშნავი დეტექტივია, შეიძლება ყველაზე უდიდესი, რაც კი ამ ჟანრში დაწერილა.

— ზოგნი ამტკიცებენ, რომ ჩვენს დროში სულაც არაა აუცილებელი მხატვრული ლიტერატურა საინტერესო იყოს. თქვენის აზრით კარგმა წიგნმა არ უნდა გაიტაცოს მკითხველი? არ უნდა იგრძნოს თავი თანამონაწილედ? თუ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და ავტორმა არ უნდა იფიქროს იმაზე, როგორ მიიღებს მის წიგნს მკითხველი, ან იქნებ მხოლოდ „რჩეულ" მკითხველზე უნდა აიღოს ორიენტაცია?

— მე ვთვლი, რომ ამგვარი რამ შესაძლოა მხოლოდ წმინდა ესთეტიკური ლიტერატურისათვის, მაგრამ ეს ნიშნავს სიკვდილსაც იმ ლიტერატურისა, რომლითაც მე ნამდვილად ვარ აღტაცებული. წმინდა ესთეტიკური რომანები მე ნაკლებად მაინტერესებს. ეს რომანები, როგორც თქვენთვისაც ცნობილია, ახლა ძალიან მოდაშია დასავლეთში. ისინი მოდაში შემოვიდა ბოლო ორი-სამი თაობის სიცოცხლეში. მე ვთვლი, რომ ეს შეცდომაა და მჯერა, რომ მალე ისინი საერთოდ აღარავის დააინტერესებს. მწერალს კი, პირველყოვლისა, მკითხველი სჭირდება. მწერლის შრომა, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებებისათვის, არა მგონია, გამართლებული იყოს.

— ამასთან დაკავშირებით, რას ფიქრობთ მწერლის საზოგადოებრივ როლზე?

— მე ვფიქრობ, მწერლის საზოგადოებრივი როლი პირველ რიგში არის თქმა სიმართლისა... აი, მწერლის დანიშნულება. თუ მწერალს აღელვებს საზოგადოება და მისი პრობლემები, მაშინ შეუძლია ამ საზოგადოებას გაცილებით მეტი სარგებლობა მოუტანოს, ვიდრე იმან, ვინც იზოლირებულ ცხოვრებას ეწევა. მთლიანობაში, თქვენ ეს იცით, მე პატივსა ვცემ ღრმა სოციალური შინაარსის შემცველ წიგნებს. სახელდობრ, ყოველთვის ამგვარი წიგნების შექმნას ვცდილობდი. ტოლსტოი, დოსტოევსკი, — ყველა მწერალი, ვინც კი აღტაცებას მგვრის, ამჟღავნებდა ამგვარ ინტერესს. მაგრამ, ამასთან, მიმაჩნია, რომ სოციალურობა ნაწარმოებში ბუნებრივი უნდა იყოს. ინტერესი საზოგადოებრივი პრობლემებისადმი ბუნებრივად უნდა ჩანდეს. ზოგიერთნი, ვისაც რომანის წერა არ შეუძლიათ, თავს იდებენ, თითქოს სოციალური პრობლემები აინტერესებთ, ამით ცდილობენ ფონს გასვლას, მაგრამ ამგვარი „დაინტერესებულობა" მაინც თავს იჩენს ხოლმე.

— თქვენ ახსენეთ რუსული ლიტერატურის ორი დიდი სახელი— ტოლსტოი და დოსტოევსკი, რომელი რუსი მწერლებია თქვენთვის ძვირფასი და ახლობელი?

—თითქმის ყველა, ვისაც ფართო მკითხველი ჰყავს და ვისაც მკითხველი მუდამ ეყოლება. ჩეხოვი მუდამ დიდ სიხარულს მანიჭებს, ტურგენევიც თითქმის ასევე, დიდებული მწერალია, მაგრამ ჩემთვის ზედმეტად დახვეწილია. მე აღტაცებული ვარ აგრეთვე მწერლებით, რომელნიც არცთუ ცნობილნი არიან ჩვენთან, მაგალითად სალტიკოვ-შჩედრინი, გორკი, გონჩაროვი და რაღა თქმა უნდა, გოგოლი. აშკარაა, რომ იგი ერთ-ერთი უდიდესი მწერალია მეცხრამეტე საუკუნისა, ყველა დროისა. იგი ძალზე უცნაური მწერალია, სრულიად არა ჰგავს სხვა რუს მწერლებს.

— თუმცა მან შექმნა გარკვეული ტრადიცია რუსულ ლიტერატურაში.

— უეჭველია დოსტოევსკი გოგოლიდანაა ამოსული. მე მიმაჩნია, რომ ბულგაკოვმაც რაღაც აიღო გოგოლის მემკვიდრეობიდან. მისი რომანი „ოსტატი და მარგარიტა" ჩვენთან გამოქვეყნდა თუ არა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იგი ჩვენთვის ძალზე უჩვეულო მწერალია. ამავე დროს მე ვთვლი, რომ იგი უჩვეულოა რუსული ლიტერატურისათვისაც, შემაძრწუნებელი ფანტაზია შეხამებულია მკაცრ, ფხიზელ რეალიზმთან. უბრალოდ შესანიშნავი მწერალია და მე იგი ძალიან მომწონს.

— რა შეგიძლიათ თქვათ სხვა საბჭოთა მწერლებზე? ჩვენი თანამედროვე პროზაიკოსებიდან ვის იცნობთ და აფასებთ?

— შოლოხოვს. ჩემი თანამედროვეა და როცა მასზეა საუბარი, მაშინვე „წყნარი დონი" მახსენდება. ეს ერთ-ერთი უდიდესი რომანია ჩვენი საუკუნისა და ამაზე დავაც კი, უბრალოდ, აბსურდია. მე დიდი სიამოვნება მივიღე სიმონოვის, ბიკოვის და სხვა ავტორთა ომზე დაწერილი წიგნებიდან. მომწონს შუკშინი, რასპუტინი და ბევრიც სხვა. ახლა ყველას სახელი არ მახსენდება. ამგვარ საუბრებში სახელები მავიწყდება ხოლმე. თქვენ ბევრი შესანიშნავი ტალანტი, მთელი ნაკადი გყავთ ნიჭიერი მწერლებისა.

— მოდით, დავუბრუნდეთ თქვენს სამწერლო საქმიანობას, სერ ჩარლზ. რომელი წიგნი იყო თქვენთვის განსაკუთრებით ძნელი და რომელი მათგანი მოგწონთ ყველაზე მეტად?

— ო, ამას მოფიქრება უნდა! ძალიან გამიჭირდა „ახალი ადამიანები". ეს არის რომანი ატომური ბომბის შექმნაზე. მასში გადახლართულია ბევრი რთული პრობლემა და მე თვითონაც კი მიჭირდა მათში გარკვევა. ბოლოსბოლო, როგორც მე მეჩვენება, ცუდი წიგნი არ გამოვიდა, მაგრამ მაინც არ მომიტანა ის სიამოვნება, რომელიც, ჩვეულებრივ, მოაქვს ხოლმე კარგი წიგნის წერას. ჩემი რომანებიდან ყველაზე ახლობელია და ყველაზე მეტად მიყვარს „რექტორები". მას ისე ვუბრუნდები ხოლმე, როგორც მშობლიურ კერას. მგონი, ბოლო წიგნიც მომწონს. მასში შევძელი მეთქვა ის, რის თქმასაც ადრე ვერ ვახერხებდი.

— რამდენადაც თქვენი შემოქმედებიდან შეგვიძლია განვსაჯოთ, თქვენ დაუნჯებული რეალისტა ხართ...

— დიახ, უეჭველად.

— ჩვენს დროში ხშირად ესხმიან ხოლმე რეალიზმს თავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ძველებურად ცოცხლობს და ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. რას ფიქრობთ რეალიზმის ბედზე XX საუკუნის ინგლისურ და მსოფლიო ლიტერატურაში?

— რაც შეეხება დასავლეთს, აქ რეალიზმის ბედი სახარბიელო არაა, აქაურ ლიტერატურას ემჩნევა ტენდენცია რეალიზმიდან დაშორებისა. ეს, ჩემის აზრით, განსაკუთრებული სოციალური მოვლენაა. ამაზე ძალიან მწყდება გული, მაგრამ რას იზამ, ასეა. ორიოდე წლის წინათ მე დავწერე ნარკვევების სერია რვა რეალისტ მწერალზე, უბრალოდ იმიტომ, რომ გამომეხატა მათდამი ჩემი დამოკიდებულება. ეს ნარკვევები შევიდა საკმაოდ მოზრდილ წიგნში, რომელსაც ჰქვია „რეალისტები". მე ვთვლი, რომ რეალიზმი არის ურთულესი, და უეჭველად, ნაყოფიერი ფორმა, რომელსაც კი ლიტერატურა დღემდე იცნობს. რვა მწერალი, რომლებიც მე ავირჩიე, — ესენია ტოლსტოი და დოსტოევსკი, დიკენსი, სტენდალი, ბალზაკი, პრუსტი და ესპანელი გალდოსი. ბევრ საკითხში იგი რუსული ლიტერატურის მიმდევარია, რომელმაც მასზე დიდი გავლენა მოახდინა. ასე, რომ სამი ფრანგი მწერალი, ორი რუსი, ერთი ინგლისელი, ერთი ესპანელი... მერვე? ხო, ჰენრი ჯეიმსი!

— ინგლისელი ამერიკელი მწერალი.

— დიახ, მაგრამ უფრო ინგლისელი, ვიდრე ამერიკელი. აი, ნამდვილი ოსტატები რეალიზმისა.

— არ გეჩვენებათ, რომ თვით ტერმინ „რეალიზმს" დამამცირებელი ელფერი დაჰკრავს ხოლმე, როცა რეალიზმის კრიტიკოსები ამ სიტყვას ახსენებენ? ეს განსაკუთრებით დასავლეთში. ხომ არ ურევენ ისინი რეალისტურ რომანს ნატურალისტურში?

— მე ყოველთვის ვავლებ მკვეთრ ზღვარს რეალისტურსა და ნატურალისტურს შორის. ისინი სრულიად განსხვავებული ცნებებია. ნატურალისტურ ლიტერატურაში მწერალი ქაღალდზე ამზადებს რაღაცა ფაფისმაგვარს, რომ მერე მკითხველმა თვითონ გამოიტანოს როგორიც უნდა ისეთი დასკვნა. ამის საწინააღმდეგოდ რეალისტურ პროზაში საგანსა და მკითხველს შორის მუდამ მოქმედებს მწერლის წარმმართველი გონება, რაც ჩემთვის კარგი რომანის აუცილებელი თვისებაა. მაგალითად, ამერიკელები ყოველთვის უფრო ნატურალიზმისაკენ იხრებოდნენ, ვიდრე რეალიზმისაკენ.

— ეს კითხვა უფრო პირადულია. თქვენი ოჯახი იშვიათი მაგალითია ორი მწერლის მშვიდობიანი თანაარსებობისა. პამელა ჯონსონის წიგნები ძალზე პოპულარულია, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც. ეხმარებით თუ არა ერთმანეთს?

— უეჭველად. როგორც თქვენთვისაც ცნობილია, ჩვენ ძნელი პროფესია გვაქვს. მწერლის შრომა ძალზე დაძაბულია. ხოლო როცა ოჯახში ორი მწერალია, დაძაბულობა ორჯერ იზრდება. მეორე მხრივ, არის შესაძლებლობა მიიღო კონკრეტული დახმარება. მაგალითად, პამელა წვრილმანებში გაცილებით უკეთ ერკვევა, ჩემზე უკეთ შეუძლია ერთი ეპიზოდიდან მეორეზე გადასვლა. უფრო ადვილად პოულობს სიძნელეებიდან გამოსავალს და სხვ. და იგი აუცილებლობის შემთხვევაში მეხმარება ხოლმე. რაც შეეხება მე, ჩემის აზრით, მე უკეთ ვახერხებ რომანის მთავარი პარამეტრების განსაზღვრას, წიგნის მთლიანი შინაარსის მოაზრებას.

— ძალიან საინტერესო იქნებოდა თქვენი შემოქმედებითი ლაბორატორიის ტექნიკური წვრილმანების გაგება, როგორ წერთ, უკითხავთ თუ არა ერთმანეთს ახალ ნაწარმოებს მუშაობის პროცესში?

— ვეცდები დაწვრილებით გიამბოთ ყველაფერი. ჩვენი კაბინეტები სხვადასხვა სართულზეა, როცა რომელიმე ჩვენთაგანს მზადა აქვს სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, ვთქვათ, ათი ათასი სიტყვა, დაახლოებით რომანის მეათედი, მხოლოდ მაშინღა ვაჩვენებთ ერთმანეთს, უფრო ადრე არა. გამოცდილებიდან ვიცი, რომ მწერალს გული ძალიან ადვილად უტყდება, ამიტომ ნეგატიური აზრი, რბილად ნათქვამიც კი, შთაგონებას აქრობს. განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს მოხდა მუშაობის ადრეულ სტადიაში. ხოლო როცა მზადაა წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაშინ საჭიროა იმ ადამიანის კრიტიკა, ვისაც თქვენ ანგარიშს უწევთ.

— განიხილავთ თუ არა მუშაობის დაწყებამდე მორიგი რომანის ჩანაფიქრს, მის სიუჟეტს, წიგნის მთავარ იდეას?

— გარემოებისდა მიხედვით. საქმე იმაშია, რომ წიგნის ჩანაფიქრი ხშირად სახაცილოდ გამოიყურება ხოლმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ცდილობ წარმოადგინო იგი სქემატურად, მხოლოდ ძვლები და ჩონჩხი. თვით შიშველი იდეაც არაა მთლად დამაჯერებელი. ჩვენ ვცდილობთ ამას გავექცეთ. „ანა კარენინას" ჩანაფიქრი რომ გადმოსცე ორი სიტყვით, ანდა რამდენიმე წინადადებით, ეს ხომ მცირე წარმოდგენასაც კი ვერ მოგვცემს ნაწარმოების სიმდიდრეზე.

— ტოლსტოიმ ერთხელ შენიშნა, „ანა კარენინას" შინაარსი რომ გავეხსნა, რომანი თავიდან უნდა დავეწეროო.

— ბრწყინვალეა! ზუსტად ისაა, რისი თქმაც მინდოდა.

— შეიძლება თუ არა მოგცეთ ერთი, ძალიან ტრადიციული კითხვა, — რაზე მუშაობთ ამჟამად?

— დიახ, შემიძლია გაგიმხილოთ. პამელა ამჟამად შუა რომანზეა მისული. რომანი ახალგაზრდა ქალსა და მამამისს ეხება. მე ორ წიგნს ვწერ. პირველს ერქმევა „ფიზიკოსი", იგი იმ ხალხზეა, ვინც დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე ცხოვრების როგორც პრაქტიკულ, ასევე ინტელექტუალურ მხარეებზე. მოხდა ისე, რომ მე მათ ყველას ვიცნობდი. ეს იყო ძალიან საინტერესო საერთაშორისო ამხანაგობა, რომელთანაც ერთ დროს მჭიდრო კავშირი მქონდა. ვფიქრობ, რომ ეს წიგნი გარკვეულ ინტერესს აღძრავს. მე შემიძლია დავწერო ჩემს ძველ მეგობარ აკადემიკოს კაპიცაზე, რომელსაც ახლოს ადრეული ახალგაზრდობიდან ვიცნობ. ეს არის შესანიშნავი ადამიანი. ძალიან რუსული, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ძალზე გონიერი...

მეორე რომანის იდეა აღმიძრა პოლიტიკური ბრძოლების ფორმებზე ფიქრისას. ამ წიგნს ერქმევა „უმაღლესი ღვთაება". წიგნის მთავარი გმირები იქნებიან ჰამფრი ლი და ბაიერსი, რომელთაც მკითხველი იცნობს რომანიდან „ლაკის ფენა".

— ეტყობა თქვენს მიერ ჩაფიქრებულ რომანში დეტექტივის ელემენტიც კვლავ გამოჩნდება?

— დიახ, დიახ, ნამდვილად.

— თქვენს მოღვაწეობას რომ ახლიდან იწყებდეთ, აირჩევდით თუ არა ლიტერატურულ კარიერას?

— დიახ, მგონი, კვლავ მწერალი გავხდებოდი. მაგრამ შეიძლება სერიოზულ ჟურნალისტიკაზეც მეფიქრა. ეს ისაა, რასაც მისდევს ჩემი შვილი. აქ არის იმის შესაძლებლობა, რომ პირდაპირ და გულღიად გამოამჟღავნო შენი დამოკიდებულება ცხოვრებაზე, შენი აზრი ამა თუ იმ რეალურ ამბავზე. რომანში კი იძულებული ხარ ყველაფერი ეს შემოვლით გააკეთო.

— ჩვენს ქვეყანაში მწერლებს მკითხველებთან ინტენსიური კონტაქტები აქვთ. რას გვეტყოდით ინგლისის ლიტერატურული ცხოვრების ამ მხარეზე?

— მწერლისა და მკითხველის შეხვედრა თქვენი ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ჩვეულებაა. მე რამდენჯერმე ვყოფილვარ ამგვარ შეხვედრებზე. შეიძლება დამღლელიც იყოს, მაგრამ მაინც ძალზე სასარგებლოა. ვისურვებდი, რომ ამგვარი ჩვეულება ჩვენთანაც არსებობდეს, მაგრამ ასეთი რამ ჩვენთან მიღებული არაა. არც ჩვენთან, არც ამერიკაში.

— თქვენ რამდენჯერმე იყავით საბჭოთა კავშირში, არა?

— დიახ, სულ ცოტა, ექვსჯერ. პირველად ჩვენ 1959 წელს ვიყავით. დღემდე ვინახავ მაშინდელ ბრწყინვალე „მატრიოშკას".

— როგორია თქვენი საერთო შთაბეჭდილებები იმ შეხვედრებზე, საბჭოთა კავშირში რომ გქონიათ?

— ამ შეხვედრებიდან ძალიან თბილი მოგონებანი დაგვრჩა. მივიღეთ დიდი კმაყოფილება. ასე მგონია რუსეთი რუსივით მიყვარს. რუსული ლიტერატურა, როგორც დოსტოევსკის პერიოდისა, ასევე საბჭოურიც, ძვირფასია ჩემთვის. სიყვარული რუსეთისა და რუსული ლიტერატურისადმი მანამ მექნება, სანამ ცოცხალი ვარ...

რით ცხოვრობს ზოოპარკი...

ამბავი, რომელიც ამას წინათ ჩვენმა საზოგადოებრიობამ შეიტყო, მართლაც რომ აღმაშფოთებელია — ამბავი, მომხდარი თბილისის ზოოპარკში.

მძიმე სურათია:

ადამიანი, ალსავსე უმაღლესი შესაძლებლობებით სიყვარულისა, სიკეთისა, პატიოსნებისა, სხვათათვის სიხარულის მინიჭებისა, ზურგს აქცევს საკუთარ თავს და მიმართავს სიბნელეს, სამალავს, შხამს, რკინის კეტს და ჩიგრიგობით სიცოცხლეს ასალმებს უსუსურ ვეფხვს, ამერიკულ გარეულ ტახებს, აფრიკულ იღუმს, პატარა ზებუს, თეთრთავა ორბს, იაგუარს, პუმას, დარაჯ დოგს... დღისით, მზისით ხალხმრავალ ზოოპარკში გალიიდან უშვებს ლომს...

განა არა! ადრეც გვსმენია ისეთ მოშურნეთა შესახებ, რომლებიც მომხვდური გადამთიელებივით მოქცეულან: გაუჩეხავთ, მოუკლავთ, დაუწვავთ, გაუტაცნიათ...

მაგრამ ზოოპარკელმა ბოროტმოქმედებმა გვაოცეს თავიანთი „ხელწერით", ბოროტების „ახალი სახის მიგნებით", ეგოიზმითა და უსამართლობით, სიძულვილითა და გონების სიბნელით, სახალხო საკუთრებისადმი მტრული მოპყრობით, იმით, რომ ისინი წინაღუდგნენ არა ერთი და ორი კაცის პირადს კეთილდღეობას, მთელს საზოგადოებას დაუპირისპირდნენ და ამიტომ მათი დანაშაული გაცილებით მძიმეა.

რად სჩადიან კაცნი ამ ბოროტმოქმედებას? რად გასდგომიან ბუნებისაგან მომადლებულ საკუთარ ადამიანურ უნარს, რატომ ვერ მოუნახავთ პატიოსნების გზა იმ ქვეყანაში, რომელიც მათგან, როგორც შვილებისაგან, კაცური ვალის გადახდას მოელის? და დაძრწიან ნადირის ბილიკებით, შურისგებით ალესილნი? სად არის სათავე მათი დაცემისა?

როცა ამ ავკაცობას იქმოდნენ, ავკაცნი დარწმუნებულნი იყვნენ, სახელს გაუტეხდნენ და ზოოპარკიდან წასვლას აიძულებდნენ ახალ ხელმძღვანელობას, რომელმაც სულ რამდენიმე თვეში შეძლო მათთვის არასასურველი ცვლილებების მოხდენა — უზრუნველი ლუკმა დაუკარგა.

გაბოროტებულნი, ალბათ მეტს იქმოდნენ, რომ მათ კვალში არ ჩადგომოდნენ, რომ შეშინებოდათ და არ აეტეხათ განგაში, არ შემოეღოთ ღამის მორიგეობა ძაღლების დახმარებით. და ერთ თვეზე მეტია, მტრებს მტრობის საშუალება აღარ მიეცათ. ხოლო ამის მიღწევა არცთუ იოლია აქაურ ვრცელსა და შემოუღობავ ეზოში.

ძნელი, დაძაბული ვითარებაა.

და მაინც ზოოპარკის ცხოვრებაში ეს როდია მთავარი.

მთავარია ის, რაც კეთდება და რამაც ამხელა შურისგება აღძრა.

პირველი მონაპოვარია ის შედეგები, რაც აქ წესრიგის დამყარებისათვის გატარებულ ღონისძიებებს მოჰყვა. დაწესებულია მკაცრი კონტროლი და დაშრეტილია საშუალება ქურდობისა, გამორჩენისა, მითვისებისა...

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი კი ის გარდატეხაა, რაც სულიერ სფეროში მოხდა ან ხდება: შეიცვალა ან იცვლება ადამიანების შრომისადმი დამოკიდებულება, სული შრომისა, განწყობილება.... ძნინი გარემო გაიწმინდა ან იწმინდება. ამას შეიძლება გადახალისება ვუწოდოთ.

[illegible] ზოოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა. აქ გადმოვიდა თუ არა, თან მოჰყვა ახალგაზრდობის ჯგუფი, უნივერსიტეტშივე მასთან დაახლოებული. წლების მანძილზე იასონი მათ დავალებებს აძლევდა და ექსპედიციებში დაატარებდა. ექვსი თუ შვიდი უნივერსიტეტელი სტუდენტი ზოოპარკის თანამშრომელია. ლექციების შემდეგ მოდიან და დიდი სიყვარულით აკეთებენ საქმეს.

დირექტორის მოადგილე განსაკუთრებით ზურაბ გურიელიძეს გამოარჩევს, მეოთხეკურსელს. მის მოკვლეულ მასალებს სავსებით ვენდობით. მაგრამ წელს ქალაქიდან ვერ გავდივართ, რადგან ღამეებს ყარაულობაში ვათენებთო. რასაკვირველია, ამ პირობებში ახალგაზრდებს უჭირთ, მაგრამ ცხოვრებასაც სწავლობენო. ახლა არდადეგებია და სულ აქ არიან, ცხოველებს უვლიან და აკვირდებიანო.

იასონ ბადრიძეს საუბარი გადაქვს იური კავერკინზე. სტუდენტია, ლაბორატორიაში მუშაობს, ამასთანავე აკვარიუმს მეურვეობსო. გატაცებულია თევზების მოშენებით. ზოოპარკში მოიტანა საკუთარი უნიკალური ექსპონატები. ჩვენს პირობებში შესძლო გაემრავლებინა ისეთი ჯიშები, საერთაშორისო წითელ წიგნში რომ არიან შეტანილიო.

გურამ წიკლაურსაც ვეცნობით, ტერარიუმის განყოფილების გამგეს, ახალგაზრდა კაცს, რომელსაც თავისი ახალგაზრდობისდა მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის მრავალი ზოოპარკი შემოუვლია და მეგობრებიც გაუჩენია. ასე რომ, როგორც კი ახალი ტერარიუმი დამთავრდება, მისი მეცადინეობით აქ თავს მოიყრის იშვიათი და მრავალფეროვანი ექსპონატები.

ახალგაზრდობას მხარში ამოსდგომიან გამოცდილი და პატიოსანი ადამიანები ძველი თაობიდან. ერთი ამათგანია ორნითოლოგიური განყოფილების გამგე ნათელა გიორგელაშვილი.

და ყველანი ერთობლივ ქმნიან ზოოპარკის ხვალინდელ დღეს, ოცნებობენ და გეგმავენ.

ეს გეგმები ეთანხმება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ ახლახანს დამტკიცებულ სტატუტს, რომლის მიხედვით ზოოპარკი მარტო სანახაობითი კი არა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებაა, მუზეუმივით.

ასე რომ ჩვენი ზოოპარკი ახლებურად უნდა გარდაიქმნას.

პირველ რიგში კი მისი ნივთიერი მხარე. ვარაუდობენ მთლიან რეკონსტრუქციას: გალიებს თითქმის ყველგან ვოლიერებით შესცვლიან და, მაშასადამე, ცხოველებს საცხოვრებლად, დაახლოებით მაინც, ბუნებრივ პირობებს შეუქმნიან. ამას ორმხრივი სიკეთე მოჰყვება: უფრო ადვილად შეეგუებიან ტყვეობაში მყოფნი აქაურ პირობებს და, მეორეს მხრივ, დამთვალიერებლებიც უკეთ გაეცნობიან ამა თუ იმ ბინა- [illegible] ლაქისაგან რიგიანი შეშველება დასჭირდება.

მეორე დიდი საზრუნავი —ესაა ახალშენი ცხოველებით მოზრდილების თანდათანობით შეცვლა. მოზარდი უფრო ემორჩილება წვრთნას, ადვილად ჩაენერგება ადამიანისადმი ნდობის გრძნობა. ადრე თითქმის არავის აინტერესებდა მათთან „მუშაობა": თვალყურის დევნება, დაკვირვება, დაახლოება; ეს, პირველ ყოვლისა, სასარგებლოა თვით ცხოველთათვის და მათზე მეცნიერული დაკვირვებისათვის... გარდა ამისა, შეჩვეული ცხოველი, შემთხვევით რომ გარეთ გაიჭრას, ძნელი არ არის მისი ვოლიერში დაბრუნება, [illegible]

უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები. ახლახან როსტოვის ზოოპარკიდან მიიღეს ახალგაზრდა ლომი, ვეფხვები და ავაზები...

დიდ იმედებს ამყარებენ ეკოლოგიური პრობლემების ლაბორატორიაზე, რომელიც რამდენიმე თვის წინ კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან გადმოიტანეს. მის დიდ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ასეთი ლაბორატორია პირველად ჩვენს ზოოპარკთან შეიქმნა. აქაური ახალგაზრდა მკვლევარები დაკავშირებული არიან მოსკოვის კვლევით ცენტრებთან და მათს გამოცდილ, ცნობილ მეცნიერებთან, რომელთა ხელმძღვანელობითაც ეწევიან მეცნიერულ მუშაობას.

კიდევ ერთი ჩანაფიქრის შესახებ:

გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ დელფინარიუმი. იგი ბევრ მნახველს მოიზიდავს, გაზრდის საზოგადოების დაინტერესებას ზოოპარკით. მეორეს მხრივ, გაზრდის შემოსავალსაც, რომელიც კეთილმოწყობის სამუშაოებს ბევრად დააჩქარებს...

აი, რით სულდგმულობენ დღეს თბილისის ზოოპარკში.

არაკაცებს კი ამის გაგება არ სურთ. არც კითხულობენ, როგორი იქნება ეს დაწესებულება ხვალ. არავითარი სიყვარული იმ საქმისადმი, რასაც დღემდე ემსახურებოდნენ...

საზოგადოებრიობა შეშფოთებულია მათი გულგრილობით და იგი თავის მკაცრ მსჯავრს ხმამაღლა გამოთქვამს.

მსჯავრს? მაგრამ როგორ და რანაირადო, იკითხავენ — როცა ავკაცნი ჯერ კიდევ არ დაუყენებიათ თავიანთი დანაშაულის გვერდით და მათი ვინაობა სააშკარაოზე არ გამოუტანიათ.

მაგრამ საზოგადოებრივი მსჯავრი მაინც სავსებით შესაძლებელია. მხოლოდ საზოგადოებრივი სამსჯავროსათვის არის დამახასიათებელი განსჯა დამნაშავეთა, როცა ისინი მხილებულნი არ არიან. მარტო მას შეუძლია ასეთი რამ მოიმოქმედოს. იგი ისე მძაფრად აღიქვამს დანაშაულს და იმ დონეზე, რომ ბოროტებაც და ბოროტმოქმედნიც, როგორიც განზოგადებულად წარმოგვიდგებიან: ვინც არ უნდა იყოს ავის მქმნელი, იგი ხომ ჩვენს გვერდითაა, ჩვენი ქვეყნის შვილია. ქვეყანას ყველა ეტკინება, ყველა შვილი. ამაზე მეტი დაკონკრეტება დამნაშავის ვინაობისა საზოგადოებრივი აზრის გამოთქმისას აუცილებელი აღარც არის.

ასე რომ მიზანი ამ გზითაც მიიღწევა. აღარაფერი აბრკოლებს, განსაჯონ დანაშაული და მისი მიზეზები.

და ადამიანები, ერთხელ კიდევ დაფიქრდებიან, დასაგმობი დაიგმობა. საქმის გამოსწორებას ცდა არ დააკლდება, ხოლო დაზარალებულთ — მხარდაჭერა.

მხარდაჭერა კი მართლაც სჭირდება ზოოპარკს და მის ქომაგ პატრონებს, უმთავრესად [illegible] ხედავად, აქ სუფევს მეტად ნათელი განწყობილება, ახალგაზრდული ღიმილი, თავშეკავება, მზადყოფნა, გაბედულება, და რომ ეს ყველაფერი იმ რწმენისაგან მოდის, რომ ბოროტი ძლევადია, განადგურებადია, მტვრად მოქცევადია.

ეთერ წერეთელი



„ცისკარი" № 7

გამოვიდა ჟურნალ „ცისკრის" მორიგი მე-7 ნომერი.

პოეზიის განყოფილება გთავაზობთ ხუტა გაგუას, მურად ნებიერიძის, სოსო მაჭარაშვილის, ოთარ მამფორიას, დილარ ივარდავას, რევაზ დანელიას, ნოდარ შამანაძისა და მანანა ზაზიკაშვილის ლექსებს.

პროზის განყოფილება აგრძელებს ჯემალ ქირიას რომანის ბეჭდვას „მარადი მხედარი", დაბეჭდილია, აგრეთვე, ლერი ბარათელისა და მერაბ მიხელიძის მოთხრობები.

რუბრიკა — „ახალი სახელები" გთავაზობთ ვიოლა კანკიასა და მერაბ კერვალიშვილის მოთხრობებს, რომელთა შესახებ წინათქმა დაწერა რევაზ ჯაფარიძემ.

„წერილები" — ამ რუბრიკით წარმოდგენილია გურამ ასათიანის („სათავეებთან", დასასრული), გიზო ზარნაძისა და პაატა ფირანიშვილის წერილები.

ჟურნალი რუბრიკით — „დიადი მემკვიდრეობა" — ბეჭდავს ალექსანდრე პუშკინის წერილებს, თარგმანი ეკუთვნის რუსუდან ქებულაძეს.

ჟურნალს დართული აქვს ფერადი ჩანართი, სადაც დაბეჭდილია რადიშ თორდიასა და ბელა ბერძენიშვილის ნამუშევრები. ამასთან დაკავშირებით რუბრიკა „ხელოვნება" გთავაზობთ ეკატერინე გაჩეჩილაძისა და ანა კლდიაშვილის წერილებს.

„ოლიმპიადა-80" — ამ რუბრიკით დაბეჭდილია შალვა ქირიას წერილი — „სამი ოქროს ნახტომი".

ჟურნალი ბეჭდავს საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული ცხოვრების ქრონიკას.

გამოდის პარასკეობით
ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი:
380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.
ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. ზურაბიშვილი, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ღვინჯილია, რ. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 03844